


ეროვნული ბიბლიოთეკა

ISSN 0130—1624

# დროშა

იანვარი
№ 1 1983 წ.


ეროვნული ბიბლიოთეკა



მხიარული დღეობა.



60 ЛЕТ
ეროვნული ბიბლიოთეკა




1982 წლის 21 დეკემბერი. მოსკოვი. კრემლის ყრილობათა სასახლე — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რსფსრ უმაღლესი საბჭოს ერთობლივი საზეიმო სხდომა, მიძღვნილი სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი.

სურათზე: საზეიმო სხდომის პრეზიდიუმი. ტრიბუნაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ი. ვ. ანდროპოვი. (საქდესის ფოტოქრონიკა).

17433

# საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 60 წელი

როცა გონების თვალს ვავლებთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მიერ 60 წლის მანძილზე განვლილ გზას, ნათლად ვხედავთ, რომ ყველა ჩვენი მიღწევა და გამარჯვება განუყრელად არის დაკავშირებული კომუნისტთა ლენინური პარტიის საქმიანობასთან. სწორედ პარტია იყო და არის ის მძლავრი შემოქმედებითი, დამრაზმველი ძალა, რომელიც უზრუნველყოფს შეუნელებელ წინსვლას საზოგადოებრივი პროგრესის ყველა მიმართულებით.

თავისი იდეოლოგიით, თავისი შემადგენლობითა და აგებულებით ჩვენი პარტია საბჭოთა კავშირის ყველა ერისა და ეროვნების ერთიანობის, შეკავშირების ცოცხალი განსახიერებაა. როცა თავის პოლიტიკას ეროვნული და ინტერნაციონალური ინტერესების ჰარმონიული შეხამებისათვის წარმართავს, პარტია ქმნის ისეთ სოციალურ პირობებს, რომლებშიც თითოეული ერის აყვავება, ყოველმხრივი განვითარება მთელი ჩვენი ძმური კავშირის აღმავლობისა და აყვავების წანამძღვარი ხდება.

როცა ვამბობთ: „ხალხი და პარტია ერთიანია!“ — ამით ვადასტურებთ იმ უცილობელ ფაქტს, რომ მიზნები და ამოცანები, რომლებიც პარტიამ დაისახა, ზუსტად გამოხატავს ყველა საბჭოთა ადამიანის მისწრაფებებსა და მოთხოვნილებებს. და ჩვენი მრავალმილიონიანი ხალხი თავისი საქმეებით ხორცს ასხამს პარტიის პოლიტიკას. ამის ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა ის წარმატებები, რომლებითაც ყველა რესპუბლიკა ეგებება ახლანდელ იუბილეს.

**ი. ვ. ანდროპოვი**

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# საახალწლო მილოცვა საბჭოთა ხალხს

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

მთავრდება 1982 წელი. საბჭოთა ადამიანებისათვის ეს იყო სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის აღმშენებლობითი შემოქმედებითი მუშაობის წელი.

როგორც დიდი დღესასწაული, აღვნიშნეთ ღირსშესანიშნავი მოვლენა — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავი. ეს იუბილე გახდა სოციალიზმის დიადი მიღწევების, ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების, სსრ კავშირის ყველა ხალხის ურღვევი მეგობრობისა და ძმობის მკაფიო, შთამბეჭდავი დემონსტრაცია.

აყვავებასა და ძლიერებას საბჭოეთმა კომუნისტების პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით მიაღწია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მტკიცედ და განუხრელად მიდის ნაცადი ლენინური კურსით. პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკისადმი ერთსულოვანი მხარდაჭერა, კომუნიზმის იდეებისადმი საბჭოთა ადამიანების უსაზღვრო ერთგულება მთელი დამაჯერებლობით გამოვლინდა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევთან გამოთხოვების დღეებში.

კომუნისტური პარტია დიდად აფასებს მშრომელთა უსაზღვრო ნდობას. თავისი საქმიანობის უმაღლეს აზრად მას ხალხის, კომუნიზმისა და მშვიდობის საქმის სამსახური მიაჩნია. პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს წარმატებათა საწინდარია.

ამხანაგებო!

იოლი როდი იყო ჩვენთვის მიმავალი წელი. მაგრამ ბევრი რამ გაკეთდა. შეუნელებლად ვითარდებოდა სახალხო მეურნეობა. მწყობრში ჩადგა ასობით სამრეწველო საწარმო. გაყვანილია გიგანტური გაზსადენების ახალი ტრასები, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები. ჩაღდება მუშაობა სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის. ახალ მწვერვალებს მიაღწია საბჭოთა მეცნიერებამ. თანამიმდევრულად ხორციელდება სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახული საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის დონის ამაღლების ღონისძიებანი. დაახლოებით 10 მილიონმა კაცმა გაიუმჯობესა საბინაო პირობები.

საბჭოთა ადამიანებმა ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის მოქმედების საბრძოლო პროგრამად აღიქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის გადაწყვეტილებანი. წინ მოგველის დიდი ამოცანები, რომლებიც თითოეული საბჭოთა ადამიანისაგან დაძაბულ მუშაობას, მაღალ ორგანიზებულობას, შეგნებულ დისციპლინას მოითხოვს. და ამ ამოცანათა გადაწყვეტის ძალა შეგვწევს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, ყველა საბჭოთა ადამიანი 1983 წელს აღნიშნავენ ახალი სახელოვანი მიღწევებით, უზრუნველყოფენ ლენინის გზით ქვეყნის შემდგომ წარმატებულ წინსვლას.

დიდება და პატივი ყველას, ვინც კეთილსინდისიერი თავდადებული შრომით განამტკიცებს საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ და თავდაცვითს ძლიერებას, ავითარებს მეცნიერებასა და კულტურას, ხელს უწყობს ჩვენი დიადი სამშობლოს შემდგომ აყვავებას!

გასულ წელს რთული იყო საერთაშორისო ვითარება. იმპერიალიზმის აგრესიული წრეები არ წყვეტდნენ ცდებს — ძირი გამოეთხარათ დაძაბულობის შენელების პოლიტიკისათვის, სახელმწიფოები და ხალხები ჩაეთრიათ მტრობასა და სამხედრო კონფრონტაციაში. ასეთ პირობებში ჩვენ კიდევ ერთხელ მტკიცედ ვაცხადებთ: უცვლელია ჩვენი სწრაფვა მშვიდობისადმი. საბჭოთა კავშირი თანამიმდევრულად იცავს თავის ინტერესებს, ჩვენი მოკავშირეებისა და მეგობრების ინტერესებს. ჩვენი ქვეყანა, რომელიც ერთგულად იცავს თავისი საგარეო პოლიტიკის მშვიდობისმოყვარულ პრინციპებსა და მიზნებს, მტკიცედ იბრძვის ბირთვული ომის საფრთხის წინააღმდეგ, გამალებული შეიარაღების ალაგმვისათვის. ჩვენთან ერთად არიან მოძმე სოციალისტური ქვეყნები, პლანეტის მთელი მშვიდობისმოყვარე ძალები. სსრ კავშირი მუდამ მზად არის ყოველ სახელმწიფოსთან თანასწორუფლებიანი, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის. დარწმუნებული ვართ, რომ დღევანდელი სიძნელეები და საერთაშორისო ვითარების დაძაბულობა შეიძლება და კიდევაც უნდა დავძლიოთ.

ამავე დროს ჩვენ გამოვიჩენთ უდიდეს სიფხიზლეს. სამხედრო ავანტიურების მომხრეებმა უნდა იცოდნენ: ჩვენი საზღვრებისა და ჩვენი მოკავშირეების საზღვრების შეუვალობა საიმედოდ არის უზრუნველყოფილი. საბჭოთა შეიარაღებული ძალები ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების მძლავრი ფაქტორია.

ვეგებებით რა ახალ წელს, გულითადად ვულოცავთ სოციალისტური ქვეყნების მშრომელებს. სოციალისტური თანამეგობრობის განმტკიცება კვლავაც ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს უპირველესი საზრუნავი იქნება.

მხურვალედ ვულოცავთ მთელი მსოფლიოს კომუნისტებს, იმპერიალიზმის, რეაქციისა და ომის წინააღმდეგ მებრძოლებს, ჩვენი ქვეყნის ყველა კეთილ მეგობარს.

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენი ხალხი რწმენით შეჰყურებს მომავალს. დაე ახალმა, 1983 წელმა ყველა საბჭოთა ადამიანს, ყოველ ოჯახს ბედნიერება და სიხარული მოუტანოს!

ახალ წელს ვულოცავთ გმირ მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობასა და სახალხო ინტელიგენციას!

საახალწლო სალამი პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანებს!

გულითადად ვულოცავთ საბჭოთა ქალებს — სამშობლოს სახელოვან შვილებს, თავდადებულ მშრომელებსა და მგზნებარე პატრიოტებს!

ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებთ ჩვენს შესანიშნავ ახალგაზრდობას!

მხურვალედ ვულოცავთ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მამაც მეომრებს, რომლებიც ფხიზლად იცავენ საბჭოთა ადამიანების მშვიდობიან შრომას!

ჩვენი სადღესასწაულო სალამი ყველას, ვინც ახალი წლის ღამეს დგას შრომისა და საბრძოლო ვახტზე, ვინც მუშაობს სამშობლოსაგან მოშორებით!

გილოცავთ ახალ წელს, ძვირფასო ამხანაგებო, გისურვებთ ბედნიერებას!

**სკკპ ცენტრალური კომიტეტი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი**

**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.**

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

**დროშა**

№ 1 (553) იანვარი. 1983

ჟურნალი გამოდის 1928 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
ხუტა ბერულავა

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ნათელა გიორგობიანი, თენგიზ გოგოლაძე, (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ოთარ დემეტრაშვილი, გურამ დოჩანაშვილი, სერგო დურმიშიძე, ოთარ თურქია, რევაზ მარგიანი, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, უჩა ჯაფარიძე.

© „დროშა", 1983 წ.

# საახალწლო მილოცვები

## ქართველი ხალხის სახელოვან შვილებს, რომელთაც 1982 წელს მიენიჭათ თბილისის საპატიო მოქალაქეთა სახელი



### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს

### ჯ თენგიზ მენთეშაშვილს

საპატიო მოქალაქის
ეს ნიშანი ბევრის მთქმელი,
ბევრ თბილისელს საზეიმოდ
გადაეცა თქვენი ხელით.

აწ კი იგი თქვენც მოგართვეს
მშობლიური ხალხის ნებით...
ამ დიდ გზაზე გევლოთ მუდამ
გამარჯვებით და დიდებით!



### საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს

### სესილია თაყაიშვილს

ეგ სახელი ყველასათვის
მშობლიური სახელია!
თქვენს თბილ ღიმილს ვენაფებით
რაც კი თვალი აგვხელია.

ვინც გიკრავდათ ტაშს ყრმობისას,
დააბერეთ და ეს არი!
კიდევ მრავალ თბილისობას
და ახალ წელს დაესწარით...

### საქართველოს სსრ აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს

### ევგენი ხარაძეს

ჩვენი აკადემიის და
აბასთუმნის პრეზიდენტო,
დაე, თქვენდა სადიდებლად
ეს პატარა ლექსიც ენთოს!

თუმცა ცაზე ერთ-ერთ ვარსკვლავს
აწერია თქვენი გვარი,
დღენიადაგ ხალხთანა ხართ,
ვით ერთგული მეგობარი.



### საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარს

### უჩა ჯაფარიძეს

რაჭის მთებში დაბადებულს
რაჭას რალა დაგავიწყებს!
დიდოსტატო, მხარს უმშვენებთ
თქვენს ჯადოქარ ძმადნაფიცებს.

გთხოვთ ხანდახან მოგვეშველოთ
და ძალაც გაქვთ მოშველების!
ამ ახალ წელს სიყვარულით
გილოცავენ „დროშელები“.





### „ხუთწლედის მატიანის“ პრემიის ლაურეატს, პოეტ

### კარლო კალაძეს

მემატიანეს, ლაურეატს
და მოქალაქეს
ჩვენი სალამი საახალწლო —
კარლო კალაძეს.

დაფნის გვირგვინი არ მოაკლდეს
უფრო მაღალიც,
ამ ახალ წელსაც სტრიქონები —
ახალ-ახალი!



### ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატს

### გივი გაჩეჩილაძეს

გმირული შრომით რესპუბლიკა
თქვენც ასახელეთ
და საპატიო თბილისელად
დაგასახელეს.

დაუღალავი რომ ხართ მუდამ
და ულალატო,
მიტომ გადიდებთ მთელი გულით,
ძმაო ხარატო!

# ივან ეგორიჩის მიწა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი მარკოვი

თარგმანი ნოდარ ხუნდაძისა

ნამდვილად სარეკორდო საქმე კია! თუმცა კითხვა თავისთავად სიბრძნეს ვერ გაზიარებს. თეორია პრაქტიკით უნდა განიმტკიცო. ჩისტიაკოვს კი, მოგეხსენება, დიდი გამოცდილება არა აქვს. ნუ მიწყენ, ივან ეგორიჩ, თუ ხშირად შეგანუხო".

უფრო გარკვეულ აზრს ეტყოდა განათლების განყოფილების გამგე სერაფიმ პროკოპოვიჩ მეტიოლკინი, რომელსაც, პირდაპირ რომ ითქვას, ჩვეულებად გადაქცეოდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისთვის სკოლების მოსამარაგებლად „დაეცინცლა" ყოველივე, რასაც თვალს მოჰკრავდა. „ივან ეგორიჩ, გევედრებით, დაიცადეთ, ნუ წახვალთ აქედან. რაიონში სკოლების მშენებლობა და სასკოლო კაბინეტების მოწყობა ჯერ არ დაგვიმთავრებია. ნუ დაიზარებთ, რაიკავშირს დაურეკეთ, რომ მეპაიეთა ბავშვების განათლებაზე საშეფო ზრუნვის საბაბით ხუთი ათასი ცალი აგური გამოგვიყონ. კარგი იქნება, სატყეო მრეწველობის მეურნეობაშიც დარეკავდეთ, სამასი კუბური მეტრი მერქანი მოგვცენ. იმასაც ამბობენ, სამოხვალოვის საბჭოთა მეურნეობის ცენტრალურ მამულში ძრავა დგას, რომელიც მას არ სჭირდებაო. არაფერი უჭირს, რომ ახლა პირველი მდივანი აღარა ხართ. თქვენ დიდ პატივს გცემენ და დაგიჯერებენ. ეს ბავშვები ჩვენია, სხვისი ხომ არაა. დაე, მუდამ მზე დანათოდეთ, ივან ეგორიჩ".

ახლა რაიონის პროკურორი? სამხედრო კომისარი? კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები? არა, არა, არავინ მოუწონებს ახლა აქედან წასვლას. ყველანი წინააღმდეგობას გაუწევენ, რადგან დარწმუნებული არიან: მართალია, ივან ეგორიჩი პენსიაზე გავიდა, მაგრამ გამოცდილება, ხალხის ცნობა, მდგომარეობასა და მოვლენებში გარკვევის უნარი არ დაუკარგავს, რაც მისი კერძო კი არა, პარტიული ორგანიზაციის კოლექტიურ სულიერ კაპიტალს წარმოადგენსო.

და მაინც ივან ეგორიჩმა ტყუილუბრალოდ როდი მისწერა დეპეშით შვილსა და რძალს მრავალმნიშვნელოვანი სიტყვები — „ამხანაგებსაც მოვეთათბირებიო". მას ჰყავდა ასეთი ამხანაგები, სინამდვილეში ისინი აღარ არსებობდნენ, მხოლოდ მათი სახეები და მტკიცე, ურყევი ხსოვნა შემორჩენოდა, რაც წამითაც არასოდეს ავიწყდებოდა. მათ, იმ ამხანაგებს მიმართავდა ივან ეგორიჩი მძიმე გამოცდის ჟამს დახმარებისა და მხარდაჭერისთვის...

...სანამ მთავარი გზით ტეპლოვსკოეში შეხვიდოდეთ, განიერი ბორცვი შემოგხვდებათ. საქმეში ჩახედული ხალხი ამტკიცებს, ეს ბორცვი შორეულ წარსულში საფლავებიანი ყორღანი იყოო. მოგვიანებით ყორღანი გაუძარცვავთ და იმ დროიდან ფრონტის სანგრების მსგავსი ორმოები დარჩენილაო.

მართლაც ასე იყო ეს თუ არა, კარგად არავინ იცოდა, მაგრამ როცა ადამიანები გზიდან ამ ორმოებს უცქეროდნენ, სჯეროდათ, რომ ისინი საგანგებოდ იყო ამოთხრილი. ამ ორმოებზე გავლით ადვილია ბორცვის მწვერვალამდე მიღწევა, იქ კი მთელი ჰექტარი გლუვი მოედანია.

სწორედ ეს მოედანი გაახსენდა ივან ეგორიჩს, როცა ტეპლოვსკის რაიონში ფაშიზმზე გამარჯვების ოცი წლისთავის აღსანიშნავად დაიწყეს მზადება.

ივან ეგორიჩმა ბორცვი დაწვრილებით შეისწავლა და ბორცვზე დიდ სამამულო ომში დაღუპულ ჯარისკაცთა და ოფიცერთა ხსოვნის მემორიალის შექმნის საკითხი რაიკომის ბიუროზე დააყენა. რასაკვირველია, განსაკუთრებული რამის გაკეთება, თუნდაც ისეთი ძეგლისა, საოლქო ცენტრის მოედანზე რომ დგას, რაიონს არ შეეძლო. საამისოდ არც სახსრები გააჩნდათ, არც ძალები. ივან ეგორიჩი უფრო მოკრძალებულ ამოცანას ისახავდა: ბორცვის შუაგულში დაედგათ მეომრის ობელისკი (ხელში ჩაჩქანი და ოდნავ დაბლა დახრილი დროშა უნდა სჭეროდა), ხოლო მისგან მხარმარჯვნივ თუჯის ფილები დაეყენებინათ, ადამიანს გაშლილი წიგნის გვერდებს რომ მოაგონებდა, ზედ კი დაღუპულ ტეპლოვსკელთა სახელები ჩამოიწერებოდა.

რაიკომის ბიურომ მოიწონა ივან ეგორიჩის წინადადება. თუმცა ამ გადაწყვეტილების განხორციელებას წინ ბევრი სიძნელე გადაეღობა. ობელისკი ლითონის არ ყოფილა, თაბაშირისა კი იაფი ღირდა, მაგრამ მის უფასოდ დათმობას არავინ აპირებდა. ფული უნდა ეშოვათ. ამგვარ ობელისკებს საოლქო ცენტრში სამხატვრო ფონდის სახელოსნოები სერიულად ამზადებდნენ, მაგრამ ივან ეგორიჩს უნდოდა, მეტი სილამაზისა და სიმაგრისათვის ბრინჯაო წაესვათ. ამისათვის კი დიდი დავიდარაბა დასჭირდა: სახელოსნო დაითანხმა თავისი სტანდარტიდან გადაეხვია, ერთ-ერთი ქარხნის დირექტორს წებო, ლაქი და ბრინჯაო გამოართვა. შეკვეთის მიღებაზე არც თუჯის ჩამომსხმელ ქარხანას მიუცია უცებ დასტური. ეს ქარხანა ჯერ კიდევ ეკატერინეს დროს იყო აშენებული და საოჯახო ღუმელებისათვის საჭირო თუჯის ფილებით რამდენიმე ოლქს ამარაგებდა. იმ სამახსოვრო დაფების გამოშვება, სადაც დაღუპულ ფრონტელთა სახელებიც აღინიშნებოდა, ბუნებრივია, ქარხნის ნაკადის დარღვევას მოითხოვდა.

როცა ბოლოს და ბოლოს ეს დაბრკოლებაც გადაილახა და მეყალიბეები ფილების ამოლაგებას მორჩნენ, წამოიჭრა კიდევ ერთი სირთულე, რომლის წარმოდგენა ივან ეგორიჩს ოცნებაშიაც არ შეეძლო. ტეპლოვსკის რაიკომში ჩამოსულმა საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორმა კოზლოვმა რაიკომის წამოწყება ეჭვქვეშ დააყენა. „ყველა დაღუპული ფრონტელის დასახელება არ იძლევა იმის გარანტიას, — წერდა ინსტრუქტორი საოლქო კომიტეტის მისამართით დაწერილ მოხსენებით ბარათში, — რომ ამ საპატიო სამახსოვრო დაფაზე ის პირებიც არ მოხვდებიან, ვისაც ფრონტზე თავი არაფრით გამოუჩენია, ლაჩრები და მხდალები იყვნენ. განა შეიძლება იმის დაშვება, რომ ჭეშმარიტ გმირთა დიდებას ამოვაფაროთ და ხალხის მეხსიერებაში უკვდავვყოთ იმათი სახელები, ვინც ასეთი მაღალი აღიარების ღირსნი არ არიან?" ინსტრუქტორი მოითხოვდა, მანამ მიეღოთ ზომები, სანამ შეცდომა ფაქტად იქცეოდა.

ივან ეგორიჩი ყიამყრალი კაცი არ ყოფილა და ყველაზე დიდი გინება მისთვის იყო უწყინარი წამოძახილი: „ამის დედა ვატირე!". — მაგრამ ამჯერად ვერ მოითმინა. როცა საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგემ დაურეკა და ჰკითხა, რას ფიქრობ ინსტრუქტორის ამ მოსაზრებაზეო, ივან ეგორიჩმა ისე ლაზათიანად შეიკურთხა, რომ მის კაბინეტში მყოფმა საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ფედორ ფედორიჩმა, ვინც ფრონტზე უმაღლესი მთავარსარდლობის სარეზერვო საარტილერიო პოლკს მეთაურობდა, კმაყოფილად გაიღიმა და ჩაილაპარაკა: „ფრონტულად, ეგორიჩ! როგორც ჩანს, ჯერ კიდევ შეგძლებია. ეჰ, მაგონდება ომიანობის დღეები, როცა პოლკი პირდაპირ სამიზნეზე გამომყავდა". ხელი მკვირცხლად ჩაიქნია და თითები გაატკაცუნა.

ივან ეგორიჩი კი იმავე დღეს საოლქო კომიტეტში გაფრინდა და მისი ბზიკის ზუზუნივით თანაბარი ხმა ხან ერთ კაბინეტში გაისმოდა, ხან მეორეში.

— განა შეიძლება ასეთი სულელურ მოსაზრებას ანგარიში გაეწიოს?! ამხანაგი კოზლოვი ის კაცია, თავს წინასწარ რომ იზღვევს. უწინარეს ყოვლისა, ძეგლის დადგმით ყველას, ესე იგი, მთელ ხალხსა ვცემთ პატივს. მაგრამ ჩვენ ის ვიგინდარები როდი ვართ, ვისაც თავისი სისხლი და ხორცი არ ახსოვს, — ყველანი უნდა გვახსოვდეს. ყვე-ლა-ნი! და ყველას მოვიხსენიებთ, ვინც თავისი სიცოცხლე სამშობლოს შესწირა. ეს ჩვენი ვალი და სინდისის საქმეა...

ივან ეგორიჩს საოლქო კომიტეტმა მხარი დაუჭირა, კიდევ მეტი, ოლქის ყველა რაიონს ურჩიეს ტეპლოვსკელთა გამოცდილება გაეზიარებინათ. და მას შემდეგ, რაც მემორიალი გამარჯვების დღეს თავშეყრილი ტეპლოვსკისა და ახლო-მახლო სოფლების მშრომელთა თანდასწრებით გაიხსნა, სხვა ისეთი ადგილი არ არსებობდა, ივან ეგორიჩი ასე რომ მიეზიდა. აქ მოდიოდა დღესასწაულზედაც, ღირსსახსოვარი თარიღების აღსანიშნავადაც და კვირის სავსებით ჩვეულებრივ დღეებშიაც.

აი, ახლაც ივან ეგორიჩი თუჯის სამახსოვრო წიგნის საპირისპიროდ მერხზე იჯდა და აუჩქარებლად კითხულობდა დაღუპულთა სიას.

—„გლებ დანიელის ძე სინელნიკოვი, პოლიტხელი", — აცმაცუნებდა ტუჩებს ივან ეგორიჩი. თვალებს აჭუტვინებდა აგვისტოს კაშკაშა მზე, რომელმაც საღამოხანს გამოიცვალა აუტანლად ვარვარა-ყვითელი ფერი და შინდისფერი გადაიკრა". „გლებუშკა სინელნიკოვი, ულამაზესი ბიჭი, მომღერალი, მშვენიერი სპორტსმენი, ჯარში წასვლამდე კომკავშირის ტეპლოვსკის რაიკომის მდივნად მუშაობდა..." — იგონებდა ივან ეგორიჩი. იგი სინელნიკოვზე ხუთიოდე წლით უფროსი იყო, მაგრამ მისგან მაინც ბევრი რამ ისწავლა. რამდენი წიგნი ჰქონდა წაკითხული სინელნიკოვს, რა თავგამოდებით იძენდა ცოდნას! სწორედ სინელნიკოვმა აიძულა ივან ეგორიჩი ბუნებისმეტყველების რუსი კორიფეების — ტიმირიაზევის, მიჩურინის, ვილიამსის ზოგიერთი შრომა წაეკითხა. იქნებ ამ ნაშრომების წაკითხვამ განსაზღვრა ივან ეგორიჩის მთელი მომავალი ცხოვრება: იგი მიწათმოქმედი, ახალი სოფლის მშენებელი გახდა.

დასასრული. დასაწყისი — „დროშის" № 12, 1982 წ.

— „პაველ ევსეევიჩ რუსაკოვი, მაიორი", — წაიკითხა ივან ეგორიჩმა და გაახსენდა ერთ-ერთი ყველაზე უნიჭიერესი კაცი იმათგან, ვინც კი შეხვედრია ცხოვრების გზაზე. პაველ ევსეევიჩი მოჯამაგირის ოჯახიდან იყო გამოსული და მოჯამაგირეობა თვითონაც გამოეცადა. თოთხმეტი წლის ბიჭუნა პარტიზანულ რაზმში ჩანერილა. თექვსმეტი წლისა პარტიაში შესულა. რამდენიმე კოლმეურნეობა ჩამოუყალიბებია. როცა ტეპლოვსკის რაიონში მტს-ი შეიქმნა, რუსაკოვი მისი პირველი დირექტორი გახდა. სამწუხაროდ პაველ ევსეევიჩი უსწავლელი კაცი იყო, მაგრამ არაჩვეულებრივი ჭკუისა და ენერგიის წყალობით, რაც იმდენი ჰქონდა, ათ კაცსაც ეყოფოდა, კოლმეურნეობათა მშენებლობას იმდენი ძალა შესწირა, რომ ახლა ერთ-ერთი მათგანი მის სახელს ატარებს. ივან ეგორიჩმა მტკიცედ დაუჭირა მხარი რუსაკოვის თანასოფლელებს, როცა მათ რაიკომს ამ წინადადებით მიმართეს.

— „ვლადიმერ მიხაილოვიჩ კოპილოვი, უფროსი ლეიტენანტი", — წაიჩურჩულა ივან ეგორიჩმა, წამოდგა და თუჯის ასოებს წამით მიაჩერდა... ვალოდია კოპილოვი ივან ეგორიჩის გულითადი მეგობარი იყო. მათ ერთად გაატარეს სიჭაბუკე, ერთად წავიდნენ ფრონტზე. ვალოდია იმ ბატალიონის უფროსის მოადგილე იყო პოლიტნაწილში, რომელსაც ივან ეგორიჩი მეთაურობდა. ომის დამთავრებამდე ერთი თველა იყო დარჩენილი, ვალოდია რომ დაიღუპა ბრძოლაში. სანამ ბატალიონის მეთაურის ხელში სულს დალევდა, კოპილოვმა მეგობარს სთხოვა, ჩემს ქალიშვილ ნინას უპატრონე, რომელიც დედით ადრე დაობლდაო. ომამდე კოპილოვი კოლმეურნეობაში აგრონომად მუშაობდა. დაუსწრებლად დაამთავრა ტიმირიაზევის სასოფლო-სამეურნეო აკადემია...

ივან ეგორიჩმა მეგობარს თხოვნა შეუსრულა. დედის გარდაცვალების შემდეგ ნინა უცხო ხალხთან ცხოვრობდა და მათ ბავშვებს უვლიდა. ივან ეგორიჩმა მოძებნა სხვა სოფელში მყოფი ნინა და შინ მოიყვანა. ზინაიდამ გოგონა საკუთარ შვილივით მიიღო. მეცხრე კლასამდე კრილოვების ლვიძლი შვილი ვიტია და ნინა და-ძმასავით იზრდებოდნენ, მერმე კი სასტიკად შეიძულეს ერთმანეთი, ერთურთის ვერც მოქმედებას იტანდნენ და ვერც სიტყვებს. კრილოვებს გულით ენადათ ბავშვების მორიგება, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ყველაფერი მხოლოდ მაშინ გაირკვა, როცა ნინა სამედიცინო ინსტიტუტში გაემგზავრა, ვიქტორი კი სამხედრო სასწავლებელში შევიდა. თურმე შეურიგებლობას ამოფარებულთ სიყვარულის ცეცხლი სწვავდათ.

ივან ეგორიჩს მუდამ ეხსომება ის დღე, როცა ტომსკიდან ტეპლოვსკში მოვიდა დეპეშა, რომელიც იმდენად მოულოდნელი იყო, ისა და ზინაიდა შეძრწუნდნენ. „ძვირფასო დედა და მამა, დღეს მე და ნინამ მმაჩში ხელი მოვაწერეთ და ცოლ-ქმარი გავხდით. ჩვენ მთელი ცხოვრება ბედნიერები ვიქნებით. თურმე შინ ერთმანეთს კი არ ვმტრობდით, გვიყვარდა ერთურთი. აი, ასეთია სიყვარული, ამგვარი ოინებიც ეხერხება. შვებულებაში ერთად ჩამოვალთ. ვიქტორი".

ახლა მთელ ამ ამბავს რომ იგონებდა, ივან ეგორიჩმა ქათქათაფოთლებიანი გვირილა მოწყვიტა, ფილასთან მივიდა და ყვავილი მეგობრის გვარის გამომხატველ ასოებზე დადო.

—ნეტა ვალოდია რას მირჩევდა?" — გაიფიქრა ივან ეგორიჩმა და საკუთარ თავს თვითონვე გასცა პასუხი: „მშობლიურ მიწაზე დაბრუნებას ოცნებობდა, სარეკორდო მოსავლის ალებას აპირებდა. ჩვეულებისამებრ ჩამხედავდა თვალებში და მეტყოდა: „დარდით გული გაგისკდება იქ, ვანია. მე და შენ თითქმის მთელი ევროპა შემოვიარეთ და, აბა, თუ გინახავს სადმე ჩვენს მიწაზე უკეთესი?"

ივან ეგორიჩი მერხს აუჩქარებლად დაუბრუნდა და თვალები ისევ სამარადისო ხსოვნის ამ წიგნს მიაპყრო.

„კლავდია ვასილევნა სახაროვა, მე-3 რანგის სამხედრო ექიმი", — წაიკითხა ივან ეგორიჩმა და უცებ, თითქმის მკვდრეთით ალსდგაო, თვალწინ ცოცხალივით წარმოუდგა კლავდია, კლავა, კლავდიუშკა, კლაშენკა სახაროვა. იგი ზინაიდას კბილა, მისი მეგობარი და ამავე დროს მეტოქეც იყო. კლავდიას უყვარდა ივანე, ვანია, ვანიუშკა. ვაჟსაც უყვარდა. მეგობრები და ამხანაგები ფიქრობდნენ, მათი ცოლ-ქმრობის საქმე გადაწყვეტილია — აუცილებლად დაქორწინდებიანო.

გარეგნულად კლავდია ზინაიდაზე უკეთესი იყო: მაღალი, ტანწერწეტა, ცისფერთვალება. დინჯად დაიარებოდა და სახის ძუნწი, მაგრამ მრავლისმთქმელი გამომეტყველება ჰქონდა: ქალი კი არა, ნამდვილი დედოფალი იყო. ზინა კი კლავდიასგან სავსებით განსხვავდებოდა: საშუალო სიმაღლე, გამხდარი, მოუსვენარი, სხაპასხუპით ლაპარაკობდა. ერთადერთი, რაშიაც ყველანი მას ანიჭებდნენ უპირატესობას, — ეს იყო თვალები. რისთვისაც არ უნდა შეგედარებინათ, მისი თვალებისთვის ზედგამოჭრილი იქნებოდა. თვალების ფერიც წარამარა ეცვლებოდა: ხან ცისფერი და ცივი იყო და რომ გიცქეროდა, გეგონებოდა, ხანჯალს მილერებსო; ხან — მწვანე, გამომწვევი, მძაფრი და შიგ მხიარულებას ვერ იტევდა. ძალაუნებურად გაგელიმებოდა.

ივან ეგორიჩზე შეყვარებული ეს ქალები ერთმანეთისგან ხასიათითაც განსხვავდებოდნენ. მართალია, ზინაიდა გარეგნულად ცერცეტა ქალი იყო, მაგრამ არასოდეს აჩქარებულა. სანამ რამეს გადაწყვეტდა, ათასნაირად აწონიდა, მხოლოდ იმას ამბობდა, რაც კარგად მოეფიქრებინა, და ისე მსჯელობდა, ვერაფერში შეედავებოდი. იქნებ ამ ღირსებების წყალობა იყო, რომ პედაგოგის ნიჭი ალმოაჩნდა. ამ პროფესიას შესწირა თავისი ცხოვრების თითქმის ორმოცი წელი და საშუალო სკოლის დირექტორის საპასუხისმგებლო და მოუსვენარ პოსტზე განუტევა სული.

კლავდია კი ფიცხი ხასიათის ქალი იყო, გუნება წარამარა ეცვლებოდა და ხშირად, რაიმეს რომ ჩაიდენდა, გონს მერელა მოდიოდა, და თავს იგვემდა, სანამ ახალ, ასევე წინდაუხედავ ნაბიჯს არ გადადგამდა.

ივან ეგორიჩს კლავდიამ პირობა მისცა, მესამე კურსს რომ დავამთავრებ, ცოლად გამოგყვებიო, მაგრამ ჯერ კიდევ მეორე კურსზე სწავლისას ვილაც ხანდაზმული დოცენტი შეიყვარა და პირველ ცოლს გაყარა, ივან ეგორიჩს კი ბარათი გამოუგზავნა: „ვანია, ნამდვილი სულელი ვარ! ჩემზე ოცი წლით უფროს კაცს მივყვები ცოლად. ვგრძნობ, შენთან კავშირის გაწყვეტით, ბედნიერებას ვეთხოვები, მაგრამ რალა უნდა ვქნა? იმის ძალა არ შემწევს, თავი შევიკავო. შემინდე და, თუ შეგიძლია, არამზადად ნუ ჩამთვლი".

სამი წელი გავიდა და სად იყო და სად არა, ტეპლოვსკოეში კლავდია არ გამოჩნდა! რაიონულ საავადმყოფოში მოწყობილიყო სამუშაოდ. დოცენტი კი მიეტოვებინა. შეხვდა ივან ეგორიჩს, რომელსაც უკვე ზინაიდა შეერთო ცოლად. კლავდიამ უთხრა, ახლა კიდევ უფრო მიყვარხარო.

— ხუნტრუცს მოეშვი, კლაშა. მე ცოლიანი კაცი ვარ და შენთან საკურკუროდ არა მცალია — უთხრა მაშინ ივან ეგორიჩმა.

— ეს არც მე მინდა, ვანია. მე შენ შორიდან მეყვარები. ხომ შეიძლება?

— როგორც გენებოს.

მართლაც უყვარდა ივან ეგორიჩი. უყვარდა! როგორ ახერხებდა ამას, არავინ უწყოდა. მხოლოდ ზინაიდამ იცოდა, უფრო სწორად, ხვდებოდა, თუმცა ივან ეგორიჩს ამის თაობაზე სიტყვასაც არ ეუბნებოდა, რადგან ამგვარი საუბრის სულ მცირე საბაბიც არასოდეს ჰქონია. სიმართლე უნდა ითქვას, — კლავდია ამის საბაბს არ იძლეოდა, თუმცა ზინაიდა მაინც მუდამ ფრთხილად იყო. კლავდიას ფხიზლად უთვალთვალებდა, რადგან იცოდა მისი ხასიათი: ისეთი ოინის ჩადენა შეეძლო, ნახტად დარჩებოდი!

ჰოდა, აი, დაიწყო ომი. როგორც ექიმი, კლავდია სამხედრო აღრიცხვაზე ჰყავდათ აყვანილი. სამხედრო კომისარიატს მობილიზაციის პირველსავე დღეს მოსთხოვა, ჯარში გამიწვიეთო. გაიწვიეს.

სამხედრო სამსახურის დასაწყისიდანვე ისა და ივან ეგორიჩი ერთ დივიზიაში მსახურობდნენ. ორმოცდაერთი წლის ზამთრის ერთ ცივ დღეს დივიზია სისხლისმღვრელ ბრძოლებში ჩაება ვოლოკოლამსკის მიმართულებით.

ივან ეგორიჩი ოცეულს მეთაურობდა. კლავდია ერთ-ერთი პოლკის საევაკუაციო პუნქტის უფროსად დანიშნეს. ცხადია, მათს შეხვედრაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა, მაგრამ ერთმანეთის ამბის გაგება მუდამ აინტერესებდათ. ხანდახან მოულოდნელი შემთხვევით სარგებლობდნენ და ერთმანეთს მოკითხვას უთვლიდნენ.

ერთხელ ივან ეგორიჩმა დივიზიონის გაზეთში წაიკითხა იმ გმირობის ამბავი, ალყაში მოქცეული საევაკუაციო პუნქტის ექიმებსა და სანიტრებს რომ გამოეჩინათ. ცნობა ძუნწი იყო: „საბჭოთა სამხედრო მედიკოსები მე-3 რანგის სამხედრო ექიმ სახაროვას მეთაურობით უკანასკნელ ვაზნამდე ებრძოდნენ ჰიტლერელებს, ყველანი გმირულად დაიღუპნენ, მაგრამ მტერს ტყვედ არ ჩაბარდნენ" .

იმ დროისათვის, კლავდია რომ დაიღუპა, ივან ეგორიჩს ბევრი ამხანაგი ჰყავდა დაკარგული, მაგრამ მისთვის გული ასე მძიმედ არავის დაუკოდავს. „მაშასადამე, კლავას მეც უნდა მივყვე უკან", — რატომღაც გადაწყვიტა ივან ეგორიჩმა. მაგრამ ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა მისი ტანჯვის გამოძახილი.

— სამარადისო ხსოვნას გისურვებ, კლავა,— წაიჩურჩულა ივან ეგორიჩმა და თვალები სხვა სტრიქონებს ნელა ჩააყოლა.

— ნიკოლაი ეფიმოვიჩ ნედოსპასოვი, სერჟანტი", — ხმამაღლა წაიკითხა ივან ეგორიჩმა და გაიფიქრა: „მახსოვს, მახსოვს, კოლმეურნეობა „კომსომოლეცის" ტრაქტორისტი იყო, კარგი ვაჟკაცი, მუშა კაცი, ერთ-ერთმა პირველთაგანმა აითვისა რაიონში ტრაქტორი. სოფელში რომ ჩამოივლიდა, ბავშვები გნიასით მოსდევდნენ, დედაბრები და ბერიკაცები ლობე-ყორეს ეფარებოდნენ.

— „სავა კონდრატიევიჩ ნეუმელოვი", — ისევ ხმამაღლა წაიკითხა ივან ეგორიჩმა და გაიფიქრა: „ესეც მახსოვს, კოლმეურნეობა „ნოვაია ჟიზნში" ბრიგადირი იყო. ხელის უხვი მოსავალი მოჰყავდა... გვარი კი შეუფერებელი აქვს... ნეუმელოვი.... ძალიან მარჯვე ბიჭი იყო! ოსტატი! საუკეთესო ოსტატი! არც ჯარში ჩამორჩებოდა სხვებს — სნაიპერი იყო. ჰიტლერელებს შავ დღეს აყენებდა... მაშინ დაიღუპა, მტერი ჩვენს პოზიციებს ნალმსატყორცნს რომ უშენდა..."

დღე იწურებოდა. შინდისფერი მზე სადღაც სოფლის გადაღმა ტყეში დაეშვა და მინდვრებიდან გრილმა ნიავმა დაიქროლა. ივან ეგორიჩი კი ისევ ბორცვზე იდგა. თუჯის ფურცლებზე სამასი გვარი იყო აღნიშნული და ყოველი მათგანი მხოლოდ საკუთარ ამბავს კი არ ჰყვებოდა, იმ დროის ამბებს იტყობინებოდა, ახლა ისტორია რომ ერქვა.

განა ადვილი იყო ამ მიწას მოწყვეტა, სადღაც გამგზავრება და ამათი სახელების დავიწყება?.. გონებას ეს დასაშვებად მიაჩნდა, მაგრამ გული არ შვრებოდა, ისეთი ბაგაბუგი გაუდიოდა, ბეჭქვეშ ტკივილს გრძნობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ცეცხლი

ვანო ჩხიკვაძე

ნახატები თენგიზ სამსონაძისა

მოთხრობა

დავლიეთ და დავლიეთ.

ეს ჭიქებიც უნდა დაიცალოს და მერე თქვენს ნებაზეო... „მერე“ კი აღარ დადგა. მშობლებიო, შვილებიო, ომში დაღუპულებისა გაალიცლიცეო, აბა, საკარგყმოს როგორ ელალატებაო... ღვთის მადლით, ქართველებს ისეთი სადღეგრძელოები გვაქვს, რომ თუ ბოლომდე არ გამოწრუპე, ცარიელი ჭიქა ფრჩხილზე არ დაიბერტყე, რა კაცი ხარ, დაიხურე ქუდი და წადი... მოკლედ ქვეყნის შემარცხვენელთან ხარ გატოლებული და აბა, მიდი და ნუ დალევ!

გავხურდით. დათბა ფარღალალა, ისლით გადახურულ საარყეში. გალამაზდა დალოცვილი ცეცხლი. დატალღული, ქალის სიფრიფანა თმასავით გამოვარდება ალი, მოგველამუნება პირსახეზე, დაგვწვავს, გაგვაგიჟებს და ისევ გაქანდება ბუხრის ყელში.

რა ვიცი, მერამდენედ აკრიფეს ნაკვერჩხალზე გადაწყობილი შამფურები. გოდერძიმ ერთი ხელის ჩამოსმით ლოპოსავით გააძრო მწვადი, თასში მოაქცია და ფეხზე მოტრიალე ბიჭს მიაწოდა, მოაწურეო. იმ ბიჭმა ბროწეული ხელისგულებში მოიქცია და წამოვიდა წურწურით წვენი. მერე ჩენჩოდქცეული ბროწეული კუთხეში მიაგდო. ხელები წინსაფარს შეაწმინდა, თასი შუაში ჩაგვიდგა და მიწოდებული ჭიქა გადაყლურწა...

არაყი მოწანწკარებს. მხრებში მოხრილი მოხუცი მალიმალ ჭიქას შეუშვერს, მერე მაღლა ასწევს და სინათლეზე გახედავს. მეორეს სავსე ათლიტრიანი ოციანში გადააქვს. მესამე კი აქვე ზის, ცალკე, თავისთვის. ბოძს მიჰყუდებია და ჩონგურს კალთაში ჩაგორებული შვილიშვილივით ეფერება. ისე დამღერის, რომ თამადის შეძახება აღარ გვჭირდება. საგმიროს სატრფიალო მოსდევს და თუ ყელი არ ჩაისველე, გგონია, სუნთქვა შეგეკვრება, ყელი ბოლმით ამოივსება და მოიქოლება.

რად გინდა ქალი ლამაზი,
რა ომში გამოგადგება,
ჩაიცვამს წითელ-ყვითელსა,
გამოვა, ბანზე დადგება,
იმის შემხედი ვაჟკაცი
კელაპტარივით დადნება...

ცეცხლი კი იცინის, ისევ გამომწვევად გვიფრიალებს თმას და მთელი ჩვენი „ლამაზები“ სულ იმ ნაკვერჩხლებზე ცეკვავენ, გვეძახიან, მივდევთ და გარბიან, გარბიან, ღმერთმა უწყის, საით...

როდის-როდის ავიშალეთ. მეჩონგურეს პაპიროსის ბოლით გაყვითლებულ ულვაშებზე ვაკოცეთ, მაგრად უნდა იყვეო, — შევაჯანჯღარეთ და წამოვედით.

შოთა და გოდერძი აქეთ-იქიდან ამომიდგნენ. მოვდივართ ხელკავით და ვღიღინებ. სუსხმა ოდნავ მომაფხიზლა.

— უნდა მივიდეთ, არაფრით არ შეიძლება, რომ რეზოს დაბადების დღეზე არ მივიდეთ! — ამბობს შოთა.

— რას ამბობთ... მე საწოლამდე და...

— არ გამოვა. გაიგებს რომ აქა ხარ და ეწყინება! — თავს იქნევს გოდერძი. — შევიხედოთ, დავლოცოთ და გამოვბრუნდეთ.

რა უნდა ქნა, ისე ჩამბღუჯეს, თითქოს საშიში ბოროტმოქმედი მიჰყავდეთ.

— ერთი ჭიქა!..

— ერთი, მხოლოდ ერთი, — თავს მიქნევს ორივე.

მივედით. ჩავეხვიეთ რეზოს. მიიწ-მოიწიეს. მაგიდასთან სკამები ჩაამატეს და დაგვსხეს.

— დაგვეწიონ, განსხვავებულები მიართვით! — დაიძახა ვილაცამ.

— დაწეულები კი არა, გასწრებულებიც ვართო, — ვიუარეთ, მაგრამ ბოლო-ბოლო ის შავი თიხის ჯამები მაინც ჩავცეცხლეთ და მოცელილებივით დავცვივდით სკამებზე.

რაღა შპალერისთვის შემიხედავს და რაღა ხალხისათვის — ყველა ერთმანეთს ჰგავს, ქალი თუ კაცი. ჩამომიცვივდა ქუთუთოები და ჩავყავი ხელებში თავი.

— დავაწვინოთ, ცოდვაა, — ჩამესმა უცებ ქალის მზრუნველი ხმა. თანაც ისეთი რბილი, მომფერებელი, რომ დენივით დამიარა ტანში.

— ვინ თქვა, დავაწვინოთო? — ავწიე თავი.

— მე, მე ვთქვი! — მომესმა წინიდან და ჟვალებზე გადაკრული ლიბრი გადამეწმინდა — ღმერთო, დიდებულო, საარყეში რომ ცეცხლს ვუყურებდი, გამოგვყოლია და წინ არ დასკუპებულა? თან ისე შემომნათის, თითქოს მთელი სიცოცხლე ჩემს ლოდინში გაეტარებინოს.

— გამაგებინე, შენ ის ცეცხლი ხარ თუ მისი ბიძაშვილი?

— იმ ცეცხლის და ვარ, უმცროსი და, — გაიწკრიალა იგივე ხმამ.

— მართლა ლამაზი ხარ თუ თვალი მატყუებს?

— არ გატყუებს! — გადაიკისკისა და კაკლის ლებანი თეფშზე დამიდო.

— წავიდეთ? — ეშმაკური ღიმილით მკითხა შოთამ.

— რას ამბობ, კაცო... თამადა, ერთი სადღეგრძელო, შეიძლება?

— ორი იყოს! — მაძლევს დასტურს გაღიმებული სუფრის წინამძღოლი.

ავდექი. ისევ „განსხვავებულში“ მოვაპირქვავე სალვინე.

— ცეცხლს გაუმარჯოს. საბრალოა, ვინც ცეცხლის ფასი არ იცის. აი, ეს გოგო, წეღან საარყეში ნაკვერჩხლებზე ცეკვავდა მე მოჩვენება მეგონა

და, თურმე, ნამდვილი არ ყოფილა?.. რამდენი ასეთი ცეცხლია საქართველოში ვინ იცის! შეშა კი არა, ჩვენი ძვლები უნდა შევუკეთოთ, რათა სულ ასე ლამაზად იბრიალონ, თორემ ჩაქრებიან, ჩაინავლებიან და შუა ზაფხულშიც კი სიცივით ავკანკალდებით...

შენ გაგიმარჯოს, ცეცხლო! მივეფერე სიტყვით თუ უსიტყვოდ და დაცლილი ჯამი თამადას გადავულოცე.

— ეს რა კარგი რამე თქვი! — გამოწაფა და გადამეხვია.

— ცეცხლის ბრალია, მე რა შუაში ვარ, — გადავხედე გოგოს. — რა ლამაზია, ადამიანის შვილი არც კი მგონია.

— აბა, რომ უთქვამთ, ყველა ქალი ერთნაირია, ოღონდ სახელები აქვთ სხვადასხვაო?

— დღემდე მეც ასე მეგონა... შენი სახელი?

— გიორგი!

— ჰო, გიორგი, მეც ასე მეგონა...

— „ჯარჯი, ნუ მისდევ ჯიხვებსა!“ — თვალი ჩამიკრა გოდერძიმ და მთელმა სუფრამ გაიცინა...

— ოღონდ ჩემ სახელზე გადმოვარდნილი, ამ გოგოს ცრემლი დავინახო და, აქვე მოვკვდები. ვიკრავ შუბლში ტყვიას და გავთავდები... არა, ძმაო, თამადა... გიორგი, მეტის გაძლება აღარ შემიძლია, ან ეს მომაცილეთ, ან მე წავალ...

— ერთი საღამო როგორმე გაუძელი!

— ვერა, არ შემიძლია.

— მაშ მე რა ვქნა, მთელი სიცოცხლე, რომ უნდა მტანჯოს?

— ამან?

— ჰო, მაგ ჩემმა გამბედნიერებელმა! ჩემი თვალების დამხუჭავმა!..

თითქოს კეფაში ურო დამკრესო, შევქანდი...

●

საწოლ ოთახამდე თამადამ მიმაცილა.

— მაპატიე, გიორგი!

— როგორ გეკადრება, განა ხუმრობა არ გვესმის?

— ჰო, ხუმრობა იყო, ხუმრობა! — წავყავი ბალიშში თავი...

კარი გაიხურა და მარტო დავრჩი. მხოლოდ ცეცხლი ბრწყინავს შორიახლოო. წრიალებს ბუხრის კედლებში ვერდატეული, თმაგაშლილი და მაცდური. სულ ერთი ნაპერწკალი მინდა, რომ ჩალაბულასავით მომედოს, ჩამფერფლოს, მაგრამ ვერ მიმეტებს და გარბის, გარბის ოქროსთმიანი ჯადოქარი... მერე ისიც ქრება. მოდის სიჩუმე და იხსნება ლამაზი სიზმრების კარი... გადავაბიჯებ ზღურბლს და ყველაფერი აჴდება, ყველაფერი...



# ქაფქირი

## მოთხრობა

შუშაბანდის კარი იდაყვებამდე მკლავდაკაპიწებულმა ქალმა გაუღო.

— შემოდი, შემოდი!

— დედაჩემმა, ქაფქირი გვათხოვეთო!

— ცოტა ხანს კიდევ მჭირდება და გაგატან... შემოდი.

— აქ დაგელოდებით.

— ჩქარა, გაცივდა სახლი.

ბიჭმა ჯერ წითლად მოლაპლაპე იატაკს დახედა, მერე თავის თოვლაკრულ ფეხსაცმელებს, დაიხარა ზონრის შესახსნელად, მაგრამ გაახსენდა, რომ წინდა ქუსლთან ჰქონდა გაცვეთილი და ისევ წელში გაიმართა.

— იყოს მაშინ, მერე მოვალ.

— ეს რა ჯიუტი ვინმე ყოფილა! — არა გრცხვენია, შვილო, რისი გერიდება.

უარი აღარ გაუვიდა, ფეხები ერთიორჯერ ღონივრად დაჰკრა ფილაქანს და ქალს შეჰყვა.

შუშაბანდში ვანილის სუნი იდგა. კუთხეში მიდგმულ მაგიდაზე აუქნელი ქათმები, თეფშებზე დანაწილებული გოზინაყი და ხაჭაპურები ეწყო.

— შედი ოთახში, ნუგზარი და მამამისი ნაძვისხეს რთავენ... შენ კი არ დაგიდგეს ნაძვისხე?

— მე? — ბიჭი დაიბნა, — მე რად მინდა, უკვე დიდი ვარ.

ქალს გაეცინა.

— დიდიო... ნაძვისხე შენ კი არა, ამ ხნისა ვარ და ბავშვივით მიხარია, — ათუხთუხებულ სახორცე ქვაბს თავსახური მოხადა. ქაფქირიანი ხელი ორთქლში გაეხვა, — ნუგზარ, შეიყვანე შვილო...

ნუგზარი თვალისდახამხამებაში გამოვარდა.

— მოდი, რა, მოდი... სანაძლეოს დაგიდებ, თუ მთელ ქალაქში ასეთი მორთული ნაძვისხე ვინმეს ედგას, სუ მოსკოვის სათამაშოებია... შენ გაქვს მოსკოვის სათამაშოები?

— რამდენიც გინდა!

— საიდან? — გულწრფელად გაუკვირდა ნუგზარს.

— მამაჩემმა ჩამომიტანა! — თან ჭირის ოფლმა დაასხა, რაებს ვროშავ, რას ვიგონებო.

— ჰოო... — აღტაცება ერთბაშად ჩაუქრა ნუგზარს — წამოვიდე, მაჩვენებ?

— ნათესავთან დავტოვეთ და ჯერ არ გადმოგვიტანია.

— მაშინ, ხვალ...

— ხვალ შეიძლება. თუ დილიდანვე სოფელში არ წავედით! — „რა ტყუილები დავახეთქე“ — ბრაზობდა თავისთავზე ბიჭი და თვალს ვერ აშორებდა ნუგზარის ტანზე კოხტად მორგებულ ახალთახალ ტანსაცმელს: თეთრ, ჩაღილულ ქათქათა ხალათს. მხრებზე გადაჭერილ, ვერცხლისფერ აბზინდებიან სამაგრებს, უთოსაგან გატკეცილ შარვალს და რაღაცის უსაზღვროდ რცხვენოდა, ერიდებოდა, თითქოს ეშინოდა კიდეც, ამ დონდლო ნუგზარს ეკრძალებოდა, დღედაღამ რომ ერთად თამაშობდნენ... რამდენჯერ მიუბეგვია — სტყუოდა და იმიტომ, მაგრამ ხვალ? ხვალ რომ ნუგზარმა გაარტყას კიდეც იქნებ ხელიც ვერ შეუბრუნოს...

ოთახში რომ შევიდნენ — მართლა განცვიფრდა,

ნაძვის კენწერო ჭერს სწვდებოდა, სათამაშოებით, კანფეტებით, ბამბის ფთილებით დაზნექილი ტოტები თვალისმომჭრელად ასხივებდა, იდუმალებით ავსებდა ოთახს.

— მოგწონს? — გამოხედა ნაძვთან ჩამუხლულმა ნუგზარის მამამ.

ბიჭმა თავი დაუქნია და ფაფუკ სავარძელზე აღტაცებამ უფრო იამოსვა, ვიდრე დაჯდომის სურვილმა.

— უკეთესი იქნებოდა, მაგრამ... — მკაცრად გადახედა მამამ ნუგზარს, — ყუთში ფეხი ჩაჰკრა და ჩაამსხვრია...

— რა ჩემი ბრალია, ვერ დავინახე...

# გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო!

## 1982 წლის სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატები

ეროვნული ბიბლიოთეკა



ელგუჯა ამაშუკელი



ვახტანგ დავითაია



ლევან ჩარკვიანი





გიორგი ნაცვლიშვილი



ივანე კუზანოვი



ზურაბ წერეთელი.

— გაჩუმდი!.. ვერ დაინახა... მეც მაგას ვჩივი, რომ ვერ დაინახე... ვარსკვლავი მაინც არ ყოფილიყო, კენწეროზე ახლა შენ ჩამოგკიდო?

თავჩაქინდრული ნუგზარი ბიჭს გვერდით მიუჯდა და სამაგრებს დაუწყო წვალება.

— კარგი ახლა, კაცო, ნუ გადაგვაყოლე... აილე, შვილო! — ქალმა ბიჭთან სკამი მიაჩოჩა და ზედ თეფშით ნამცხვარი დაუდგა.

— ჰო, შენც შეუსხი ფრთები, — წამოიწია კაცმა, — თქვენ რა გენაღვლებათ, რა, სხედხართ შინ და მოგდით...

— მე რომ გამეტეხა, მამაჩემი არ მეჩხუბებოდა, — რატომღაც თქვა ბიჭმა და გაწითლდა.

— თქვენ რაც არ გაქვთ. რას გატეხთ! — გამოსცრა კაცმა და ნათქვამი რომ შეერბილებინა, გაუღიმა. კი არ გაუღიმა კბილები გამოაჩინა, თორემ სახე არ უცინოდა.

— შენ თუ ატყდი, ვიღა გაგაჩერებს, — ბუზღუნით გავიდა ქალი.

კაცმა ცარიელ ყუთში ქაღალდები ჩაკუნჭა და შუშაბანდში გაიტანა.

ბიჭს რაღაც ძალიან ეტკინა. მართალია, ბოლომდე ვერ მიმხვდარიყო, გულზე რად ეცა კაცის ნათქვამი, მაგრამ ერთი კი ცხადი იყო — თითქოს ხელი ჰკრესო, — შებარბაცდა ნაძვისხე, გადაიჩეხა, დაიმსხვრა და დაილეწა, მილიონ ნამტვრევად მოლავდა იატაკზე. ერთ წამში ყველაფერი საცოდავი და გულისამრევი გახდა. იმდენად მკვეთრი იყო ამის შეგრძნება, რომ ადგილზე შეხტა... ოთახს მოავლო თვალი, ყველაფერი თავის ადგილზე იდგა. ნაძვისხეც და ათასნაირი ჭურჭლით გამოტენილი კარადებიც. ისევ ბრწყინავდა დაზნექილი ტოტები, მაგრამ მათ შემხედვარეს, ის პირველყოფილი აღტაცება აღარ დაუფლებია და ამ დონდლო ნუგზარსაც თუ საჭირო იქნებოდა, ხვალ და მერეც ბევრჯერ მიბეგვავდა.

— აილე! — მუჯლუგუნი წაჰკრა ნუგზარმა.

— ფეხსაცმელი ვერ გაახდევინე? — მოისმა შუშაბანდიდან კაცის ბოღმით გაგუდული ხმა.

ბიჭი მიხვდა, ვისაც გულისხმობდა კაცი. თეფშისკენ წაღებული ხელი გაუშეშდა. სირცხვილის ოფლში გაწურულმა ძლივს მოღრიცა კისერი — წითელ, ლაპლაპა იატაკზე სველი ნაფეხურების კვალი მოდიოდა და სავარძელთან წყდებოდა, აქაც შემოჰყოლოდა, ფეხსაცმლის დაჩვრეტილ ძირებში ჩარჩენილი თოვლი დამდნარიყო და წყლად მორიალებულიყო...

არ ახსოვს, როგორ გავიდა. ერთიანად ალეწილმა სულმოუთქმელად ჩაირბინა კიბე...

— რა გატირებს, ბიჭო? — ქაფქირი ჩამოართვა დედამ.

— მეე? — დაიბნა ბიჭი და თვალები სახელოებით ამოიწმინდა.

— მე რა, თხა ხარ? — გამოაჯავრა პატარა დამ, თან გასაქცევად მოემზადა.

ბიჭს გამოკიდება არც უფიქრია. ტახტზე ჩამოჯდა და მზერა აბაჟურიან ნათურაზე შეაჩერა, უფრო კი იმიტომ ახედა, რომ ცრემლები სახეზე არ ჩამოსცურებოდა.

დედა ქაფქირით ქვაბთან ტრიალებდა. და ნაძვისხეს ხატავდა, ენაზე მწვანე ფანქრის წვერს ისველებდა. მამა ხახვს კეპავდა.

— რა დაგემართა, ნუგზარმა ხომ არ გცემა? — გაეხუმრა და სახე შეაბრუნა, ალბათ ხახვი თვალებს წვავდა.

— ნუგზარმა არა და...

— რა ვიცი, ნაცემს კი გევხარ?!

— მამა, ჩვენ ღარიბები ვართ? — ისე ჰკითხა, რომ ნათურისათვის თვალი არ მოუცილებია.

— ერიჰაა!.. — მაგრამ მამას რისი თქმაც უნდოდა, აღარ დაამთავრა. ერთ წამს უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. მშობლები ერთმანეთს სევდიანი გაოცებით შეჰყურებდნენ. მერე მამა წამოდგა, თაროდან „ყაზბეგის“ კოლოფი ჩამოიღო, პალტო მოისხა და გარეთ გავიდა.

მამა იშვიათად ეწეოდა.

ღრუბლები, თითქოს კიბის საფეხურებზე ადიანო, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევენ ცისკენ, მიიწევენ და თან მიაქვთ ცვრიანი ბალახებისა და მდინარე ხობისწყლის ტალღების ჩურჩული, ტრაქტორის შორეული რახრახისა და ორღობეში შეგვიანებული გლეხკაცის სამური „ჩელას" ექო, გოგო-ბიჭების ჟრიამული და გუგულის სევდიანი გუ-გუ...

კაცუშვილი ოდითგანვე მდინარისპირ ცხოვრებას ესწრაფვოდა, იქვე იწყობდა ყუდესაცხოვრისს, აშინაურებდა ფრინველ-პირუტყვს, მკვიდრდებოდა და თვისტომებთან ერთად საგაზრდილოდ მიაჩნდა ის არემარე.

ასე მოვიდნენ, ალბათ, უძველეს ხანაში, ხობისწყლის პირასაც მოახალშენენი. ფაქტი ისაა, რომ აქა-იქ მოსახლე სო-



კულტურის სასახლე.

# ხობისწყლის პირას

გრიგოლ რუხაია

ფლად გაერთიანდა, მერე მრავალმა წყალმა ჩაიარა და დიდი სოფლიდან დაბა იშვა, ხოლო შარშანწინ — 1981 წელს, ხობი ქალაქად ეკურთხა.

ხობის მიწას ახსოვს აბუყაბუყებული ჭაობები, ქვეწარმავალთა და კოღოთა სიმრავლე, მალარია და სხვა ათასგვარი სნეულება, მიწყივ რომ თან სდევდა აქაურებს. უბალახო ტყეებში ეკლიანი ლიანების, შავეკალას, უსურვაზის, მაყვლისა და გვიმრის ნაირსახეობები ხარობდნენ. უსიერ ბარდნარებში მზის სხივი ვერ აღწევდა. ხეებზე აცოცებულიყვნენ ნაირფერი ხავსები, შავი, მწვანე და წითელი ნაკადულები მძიმედ მიიკვლევდნენ გზას.

თვეში ცხრა-ათჯერ მოსკდებოდა წვიმის მერეხი, აიწყვეტდნენ აპეურებს რიონი და ხობისწყალი, დედაბუდიანად წალეკავდნენ ჭაობებს, ხეებსა და სახლებს შლამი ლორწოსავით ეკვროდა.

ამგვარ ყოფაში ცხოვრობდა კოლხი გლეხკაცი. ციებ-ცხელებისგან გათანგულთა კვნესა გაისმოდა ფაცხებიდან. ქინაქინა ოქროზე ძვირად ფასობდა.

კოლხეთის დაბლობის ათვისების პრობლემა ძველთაგანვე იპყრობდა ქართველი ინტელიგენციის ყურადღებას, მაგრამ ცარიზმის პირობებში ამ შრომატევად სამუშაოთა შესრულებაზე ვინა ზრუნავდა!

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ კოლხეთის ჭაობის დაშრობისა და სავარგულების ათვისების სამუშაოებმა არნახული გაქანება მიიღო. 1931 წლიდან, პარტიის გადაწყვეტილებით, ქალაქ ფოთში ჩამოყალიბდა სამშენებლო ორგანიზაცია „კოლხიდმშენი", ხოლო კოლხიდის მიწების დაშრობა საერთო-საკავშირო მშენებლობად გამოცხადდა.

კოლხიდელი კომუნისტები და კომკავშირელები, ქალაქისა და სოფლის მშრომელები ენთუზიაზმით ჩაებნენ შრომით ფერხულში. ისინი ნაწილ-ნაწილ, თანდათანობით სტაცებდნენ ჭაობს ნოყიერ მიწებს, რომლებზეც შემდგომში ათასობით ჰექტარი ჩაის, დაფნის, ციტრუსების და სხვა კულტურების პლანტაციები შენდებოდა. კოლხიდელმა მელიორატორებმა ფეხი დადგეს აფხაზეთსა და აჭარაში, სამეგრელოს და გურიის თითქმის ყველა რაიონში.

კოლხეთის მიწების ათვისება და ხალხის სამსახურში ჩაყენება გახდა რესპუბლიკის მშრომელთა მუდმივი ზრუნვის საგანი. საქართველოს კომპარტიის 1974 წლის მე-13 პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ „კოლხეთი — ეს არის ახალი ჩაის პლანტაციები და ციტრუსოვანთა ბაღები, უძვირფასეს სუბტროპიკულ კულტურათა ახალი საბჭოთა მეურნეობები, კოლხეთი — ეს არის მძლავრი საკვები ბაზის მქონე განვითარებული მეცხოველეობა და ბოლოს, კოლხეთი — ეს არის ახალი კურორტები, ჩვენ მოვალენი ვართ, ჩავაყენოთ და კიდევაც ჩავაყენებთ ამ უნიკალური ყამირის დაუშრეტელ სიმდიდრეს ხალხის სამსახურში"...

XI ხუთწლედში კოლხეთში 35 ათასი ჰექტარი ამოშრობილი მიწა ჩადგება ხალხის სამსახურში.

ხობში კიდევ ერთ საშვილიშვილო საქმეს ჩაეყარა საფუძველი — პირველ და თანამედროვე მელიორატორთა შრომითი მამაცობის ნათელსაყოფად შენდება კოლხეთის დაშრობისა და ათვისების ისტორიის მუზეუმი.



ხობის რაიონის სოფელ პირველი ხორგის საშუალო სკოლის ეზოში დაიდგა გამოჩენილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ალიო მირცხულავას ძეგლი.

ფოტო მ. თათარიშვილისა.

* * *

ხობში ჩასული კაცის თვალს იტაცებს მოასფალტებული გზები, მწვანეში ჩაფლული აგურის ორსართულიანი სახლები, თვალისჩინივით მოვლილი ბოსტნები, დაფნა-ციტრუსოვანთა ნარგავები...

არა მარტო ჩაის, სიმინდისა და ციტრუსების, დაფნისა თუ ბოსტნეული კულტურების უხვი მოსავლის მიღებით, არამედ სილამაზითაც ეჯიბრებიან ურთიერთს ხეთა და ქარიატა, პატარა ფოთი და ჭალადიდი, ხამისქური და ხორგა...

ხობის ცენტრალურ მოედანზე ჩარიგებულან მარადმწვანე ხე-ბუჩქები, გემოვნებით ნაგები ადმინისტრაციული შენობები, კულტურის სასახლე... სასახლის წინ დეკორატიული შადრევნებიანი აუზია, რომლის ცენტრში აღმართულა საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრის ზურაბ წერეთლის

მიერ შესრულებული ქანდაკება — „მარადისობის ხე“. კულტურის სასახლეს ზურაბ წერეთლის ორი მაღალმხატვრული პანო ამშვენებს: ერთი, რომელიც ძირითად ფასადზეა და ასახავს მედეას მოტაცების პერიპეტიებს, და, მეორე, სასახლის გუმბათს გადევნებული პანო „მუზა“. იგი ეროვნულ თამაშობათა სხვადასხვა მომენტს გადმოგვცემს.

ხობის კულტურის სასახლე ხელოვნების ჭეშმარიტ ცენტრს წარმოადგენს მთელ რაიონში. უზარმაზარ და ნათელ შენობაში მოთავსებულია: სამუსიკო სკოლა, საბავშვო ბიბლიოთეკა, პიონერთა სასახლე, კინოსაპროექციო ოთახი; აქვეა ქორეოგრაფიული სტუდია, გახათებისა და გახმოვანების ოთახები. გარეთა ფასადები მოპირკეთებულია ეკლარის ქვითა და გრანიტის ფილებით. სასახლეში არის 620 და 200 ადგილიანი მაყურებელთა დარბაზები. აქ იშვიათი სტუმრები როდი არიან: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი, კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი, საესტრადო თუ საორკესტრო ანსამბლები. აქვე მუშაობს დრამატული დასი მსახიობ რევაზ თოდუას ხელმძღვანელობით. სასახლეში ჰყავთ საესტრადო ვოკალური საკრავიერი და ხალხურ საკრავთა ანსამბლები, ამას დავუმატოთ ისიც, რომ სასოფლო კლუბებში ემსახურებიან მშრომელებს სასოფლო დრამწრეები თუ აგიტბრიგადები, რომელთა მუშაობას უნარიანად წარმართავენ კულტურის განყოფილება და კომკავშირული ორგანიზაციები.

ნიჭიერ ახალგაზრდებს რომელ უბანზე არ შეხვდებით რაიონში. ისინი თავიანთი მუყაითობითა და შრომისადმი პასუხისმგებლობით მშრომელთა ნდობასა და პატივისცემას იმსახურებენ.

ერთ-ერთმა მათგანმა, ისტორიკოსმა ედიშერ წურწუმიამ საკუთარი ხუთი თითივით იცის საქართველოს ისტორია. იგი ამაყობს იმითაც, რომ დიდი ცოტნე დადიანის ნეშტი აქვე, ცხობილ ხობის მონასტერში ასვენია.

— ყოველწლიურად ოქტომბრის მიწურულს ვზეიმობთ „ცოტნეობას“. იმდენი ხალხი გროვდება ხობის მონასტრის შემოგარენში, გაუხარდება კაცს, ამბობს ედიშერი, — „ცოტნეობის“ დამკვიდრება მიზნად ისახავს ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდის გაუმჯობესებას, გმირ წინაპართა სახელების უკვდავყოფას, კულტურის ძეგლთა დაცვას.

გარდა „ცოტნეობისა“, 9 მაისს ფართო მასშტაბით აღინიშნება შინმოუსვლელის ხსოვნის დღე. სოფელ ხეთაში მეხუთე წელია რაც გაიხსნა „შინმოუსვლელის სახლი“, რომელიც რაიონის ახალგაზრდობის საყვარელ ადგილად იქცა — როგორც დიდ სამამულო ომში დაღუპულ ხობელ მეომართა ხსოვნის წმიდათაწმიდა ადგილი.

5 სექტემბერს აღინიშნება „სწავლის და შრომის ზეიმი“, ხოლო 26 დეკემბერს — „მოსავლის ზეიმი“, რომელიც ეძღვნება წლის დამთავრებისა და შრომითი შედეგების შეჯამებას.

რაიონის სოფლებში არაერთ სასიკეთო ღონისძიებას შეესხა ხორცი. სოფელ ხამისქურში საფუძველი ჩაეყარა პიერ კობახიძის სახლ-მუზეუმს, სოფელ ხორგაში აშენდა საშუალო სკოლის მშვენიერი კორპუსი, მას გამოჩენილი პოეტის ალიო მირცხულავას სახელი ეწოდა. სკოლის ეზოში დაიდგა ალიო მირცხულავას ბიუსტი, რომელსაც პიონერ-მოსწავლეები ყოველდღიურად ამკობენ ცოცხალი ყვავილების თაიგულებით. აქ მალე გაიხსნება პოეტის სახლ-მუზეუმი.

— ხობელები მარტო თავისი რაიონის პატრიოტები როდი არიან, — ჰყვება ედიშერი, — ახლო მეგობრული ურთიერთობა გვაქვს და ხშირად სოციალისტურ შეჯიბრში ვიწვევთ სიღნაღის რაიონის მშრომელებს. აღსანიშნავია ჩვენი რაიონისა და უკრაინის სსრ ვოლინის ოლქის გოროხოვის რაიონის მშრომელების ათწლიანი მეგობრობა. ამ მეგობრობას საფუძველი ჩაეყარა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავზე, როცა სეხნია გაზეთებმა „კომუნიზმის მშენებელმა“



ფოტო თამაზ ქიქავაძე

დიდი სამამულო ომის ვეტერანები — ჟორჟი გერგაია და სოციალისტური შრომის გმირი თეოფანე გვაძაბია პიონერებთან.

და „ბუდივნიკ კომუნიზმუმ“ ერთმანეთი მოძებნეს და გვერდები გაცვალეს.

გაზეთების მიერ დაწყებული მეგობრობა რაიონების ცალკეულმა კოლმეურნეობებმა გააღრმავეს, შემდეგ კი ორივე რაიონი დამეგობრდა. ისინი სისტემატურად ადევნებენ თვალყურს ერთმანეთის შრომას, ცვლიან დელეგაციებს. ერთი რაიონი ძირითადად მარცვლეულს, მეცხოველეობის პროდუქტებსა და შაქრის ჭარხალს აწარმოებს, მეორეში კი მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებასთან ერთად ჩაი, ციტრუსი, სიმინდის მარცვალი მოჰყავთ. ერთი ვოლინის მიწაზეა, მეორე — კოლხეთის დაბლობზე...

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობაზე ითქვა: „ჩვენ ყოველთვის გვაინტერესებდა არა მარტო სპორტული მწვერვალები, არამედ უწინარესად ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობა“. ეს სიტყვები საპროგრამო გახდა ხობის რაიონის მშრომელებისათვის.

რაიონის ცენტრში აშენდა უნიკალური სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი „იმედი“. კომპლექსის საცურაო ნაწილში ოთხი აუზია. დიდ აუზში შეიძლება რესპუბლიკური და საკავშირო, საერთაშორისო ტურნირების გამართვა წყალბურთში, ცურვაში. ამ აუზის სიგრძე 50 მეტრია, სიგანე — 25 მეტრი. მეორე აუზში სახტომი კოშკი და ტრამპლინია მოწყობილი. მესამე აუზი ცურვის შემსწავლელთათვისაა განკუთვნილი. მეოთხე აუზს საჭყუმპალაო ჰქვია. აქ ცურვას სწავლობენ ნორჩები, რომელთაც გამოცდილი სპეციალისტები მეთვალყურეობენ.

კომპლექსში არის ფინური აბანო, კაფე, სასტუმრო, საშხაპეები, ადმინისტრაციისა და მსაჯთა კაბინეტები.

კომპლექსი მოპირკეთებულია საუკეთესო ხარისხის მასალებით, საცურაო აუზის ტრიბუნები 1500 კაცს იტევს.

გარდა საცურაო აუზებისა, სპორტულ კომპლექსში შედის ჩოგბურთის ორი კორტი, მძლეოსნური სექტორები და ქალაქის ცენტრალური საფეხბურთო სტადიონი.

პარტიის ხობის რაიკომის პირველი მდივანი ნუგზარ ნადარაია ხარაჩოებთან მოვინახულეთ.

— ამ დიდ კომპლექსს საძირკველი 1979 წელს ჩავუყარეთ, — გვითხრა მან, — ვფიქრობთ, ეს ნაგებობა, მიძღვნილი სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისადმი, ურიგო არ უნდა იყოს.

— ასეთი კაცია ჩვენი მდივანი, — მესაუბრება ერთ-ერთი თანამგზავრი, — გვიან საღამოს, — ან ყანაშია, ან პლანტაციაში, ან მშენებლობებზე... ამ ოთხიოდე წლის წინათ, აქ რომ მოვიდა და გააჩაღა მუშაობა, ზოგს ეგონა, მალე მოსწყინდებოდა ყოველივე. უფრო და უფრო მეტი ხალხი გაიყოლა მუყაითობის გზაზე, ბევრი ზამთრის ძილისგან გამოაფხიზლა. მგონია, ძილშიაც ვერ ისვენებს და საქმეებზე ფიქრობს...

გვიანობამდე ვსაუბრობდით მე და ჩემი მეგობრები განახლებულ კოლხეთზე, რაიონის დიდებულ წარმატებებზე, მის მომავალზე...





# ვარსკვლავებიანი ცა

ფელიქს კოჭიაშვილი

მოთხრობა

...ოოოო, ამას ვის ვხედავ! რას შვრები, როგორა ხარ? ოჯახში ხომ კარგად? ბავშვები? იზრდებიან ხომ ალგეთის მგლის ლეკვებივით! რაღაც არაფერი იბეჭდება ამ ბოლო დროს შენი, ჰაა, კალამი ხომ არ გაგიცვდა, ბიჭო?! ვარ რა, ისე, ნელ-თბილად... ყველაფერი ძველებურადაა, ყველაფერი ჩვეულებრივად; ახალი შენ უნდა მითხრა, მწერალი კაცი ხარ! მე რა გითხრა, ჩვეულებრივმა მოკვდავმა! სადა ხარ, სად დაიკარგე... ეეე, ძალიან დავივიწყეთ ერთმანეთი! არ ვარგა ასე!

იმ დღესაც ვეუბნებოდი რეზოს... ჩვენი რეზო, კაცო! აბა ისაა, თუა! ამას წინათ შემხვდა, და ვერ ვიცანი; ისეა გასიებული, შეგეცოდება პირდაპირ! სად მუშაობს და... თვენახევარი რომ იფიქრო, ვერ გამოიცნობ. ხორცკომბინატშია თურმე და აბა რა მოუვიდოდა უბედურს! აბა, აბა... სადაურსა სად წაიყვან! მეე?.. მე... ცოტა ჩრდილში მივდგეთ, თორემ მომკლა ამ მზემ...

შენ ის მითხარი, თუ გახსოვს, სად დავდიოდით სტუდენტობის დროს საქეიფოდ? ყოჩაღ, გხსომებია! ჰოდა, იქ უნდა წავიდეთ ახლა, ხომ იცი, ნუ დაკარგავ ძველსა გზასაო, უთქვამს ბრძენ ხალხს! მეწყინება, აბა არ მეწყინება?! ათასში ერთხელ ვხვდებით ერთმანეთს და ისე როგორ უნდა გავფუჭდეთ, თითო ბოთლი არ დავლიოთ, ახალგაზრდობა არ გავიხსენოთ!

გაჩერდი, თუ ძმა ხარ, ისეთი რა გადაუდებელი საქმე გელოდება, რომ ძველი მეგობრის გულისთვის ვერ გადადო! საქმეებს თუ მეგობრები ვანაცვალეთ, კარგად იქნება ჩვენი საქმე! საქმე ადამიანისთვის, და არა ადამიანი საქმისთვის. რას ქვია, არ სვამ! მწერალი მაინც არ იყო! მორჩა, უარი აღარ გამაგონო, თორემ, დამკარგავ იცოდე! დავჯდეთ და ვიჭუკჭუკოთ პატარა... აბა, ერთი მანქანა გავაჩეროთ... ესეც ასეე... წავედიით...

...დაჯექი აქ, ახლავე ყველაფერი იქნება, ისეთი სუფრა გავშალოთ ჩიტის რძეც არ აკლდეს. ახლახანს ერთი მშვენიერი სუფრა მომაგებინა ამ ჩიტის რძემ... როგორ და, ერთ არიფ ნაცნობს დავენიძლავე, ჩიტის რძეს გავაჩენ-მეთქი... რა მერე, გავაჩინე... საიდან გავაჩენდი, ბუფეტიდან... რა რძე, რის რძე, შოკოლადი, კაცო! არის ასეთი; „ჩიტის რძე“ ჰქვია... აუუ, რა ვიცოდი, თორემ შენც კარგი... ერთ კარგ პურ-მარილს შენთანაც გამოვიმუშავებდი!

...დალიე, დალიე, ნუ იპრანჭები პატარძალივით; აწყინოს ლურჯას ბალახმა! ბოლომდე, ბოლომდე, ღვინოშია ჭეშმარიტება! რა გინდა, მშვენივრად სვამ, რას ემდური, არ ვიცი... შენ კი არა, მეც შევთვერი. ისე კი, კაცი რომ სვამ, უნდა დათვრე კიდეც, აბა რა უნდა ქნა?! გამოიცვლებოდა, მაშ რა მოუვიდოდა, ალბათ მთელი საუკუნეა, რაც აქ არ ყოფილხარ! ამქვეყნად უცვლელი მხოლოდ ისაა, რომ ყველაფერი ცვალებადია! არ გახსოვს, ვინ თქვა ეს?.. არც მე მახსოვს, ის კი ვიცი, რომ ფილოსოფიაში ვისწავლეთ. მე ვიცი, რომ არ ვიცი! ისე კი, თუ ვიცი, რომ არ ვიცი, მაშინ საიდან ვიცი, რომ არ ვიცი?! საერთოდ კი, აქაურობა კი არა, მე თვითონ ისე გამოვიცვალე, ხანდახან მგონია, რომ მე „მე“ არა ვარ; თითქოს შემცვალეს, თითქოს ჩემს მაგივრად ვიღაც სხვა ცხოვრობს... შენ არ გემართება ასეთი რამ? გაუცხოება რომაა, მეც ვიცი, შენ ის მითხარი, რატომ ვხდებით უცხოები? რა გვჭირს, რა გვემართება? საით მივდივართ? თუკი მივდივართ საერთოდ...

აქ რომ მოვდივარ ხოლმე, ისევ ახალგაზრდა, ისევ სტუდენტი მგონია ჩემი თავი!.. მოდი, ამ ჭიქით იმ წლებს გაუმარჯოს, ახალგაზრდები რომ ვიყავით, ახალგაზრდული სისხლი რომ გვიდუღდა ძარღვებში... რა უჭირს მერე, რომ დავლიეთ უკვე, ეს ისეთი სადღეგრძელოა... რა გვაქვს, რა გვაბადია იმ წლებზე უკეთესი?! ვბერდებით, ვჩაჩანაკდებით... ჩვენს ახალგაზრდულ, სტუდენტურ ოქროს ხანას გაუმარჯოს! ეეხ, ის დრო ჯობდა! მართლაც რომ ოქროს ხანა იყო! კარგი იყო, არა? ხარ რწმენით, იმედებით, ენერგიით სავსე, გგონია მთებს გადააბრუნებ, ათასნაირ გეგმებს აწყობ... გჯერა, რომ მართლა რაღაცას წარმოადგენ, რაღაცას აკეთებ...

ბიბლიოთეკიდან რომ გამოვდიოდი, ისეთი კმაყოფილი ვიყავი საკუთარი თავით, ისეთი ვალმოხდილი... მიგაჩნია, რომ საჭირო ხარ... შეუცვლელი! გიყვარს, უყვარხარ... სხვა რა გინდა კაცს ბედნიერებისთვის? მერე, დრო რომ გავა... შეეშვი მაგ საათზე ყურებას, თუ კაცი ხარ! ცხოვრების მორევში რომ ჩაყურყუმელავდები, მთლიანად რომ ჩაგითრევს ყოველდღიური, საყველპურო ცხოვრება, აქეთიქით რომ გახეთქებს, თავის ჭკუაზე რომ გატარებს, ნელ-ნელა გიცარიელდება სული იმ შენი რწმენისაგან, იმედებისაგან, გეგმებისაგან... სიყვარულიც გიყელებს! სიზმარი მგონია ახლა ის ყველაფერი... თავიდან რომ შეიძლებოდეს ყველაფრის დაწყება! მაგრამ ვაი რომ არ შეიძლებაა! ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ! ჩავლილია უკვე!.. თავიდანვე არ უნდა გქონდეს კაცს ილუზიები, ოცნებას არ უნდა გაეტაცვინო. თორემ რა გამოდის?! ათას რამეზე ფიქრობ, ოცნებობ, თავი აკადემიკოსი გგონია... და თანდათან ისე შედიხარ როლში, ისე ეჩვევი, ისე გიტკბება ეს როლი, ვეღარ არჩევ ნამდვილსა და წარმოსახულს, ობიექტურად ვერ აფასებ საკუთარ შესაძლებლობებს, სასურველს სიმართლედ მიიჩნევ: გაცილებით ნიჭიერი, ძლიერი გგონია შენი თავი, ვიდრე სინამდვილეში ხარ! მოკლედ, ცხოვრება რომ კარგად დაგფერთხავს, თავიდან რომ გამოგიბერტყავს ყველა ამ მირაჟს, მაშინღა მიხვდები, აღმოაჩენ, რომ ერთი უბრალო, ჩვეულებრივი ჭანჭიკი ყოფილხარ და მეტი არაფერი. არაფრით გამორჩეული, ადვილად შეცვლადი! როგორია?! კაცი ვარსკვლავებს ეპოტინებოდი და ხელში ჭანჭიკი შეგრჩა! ასეა, მეტისმეტად მაღლა და უანგარიშოდ არ უნდა იფრინო, შენი ძალები და უნარი უნდა მოზომო! ეხ, ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდება! მერე, როცა მიწაზე დაებერტყები და გამოფხიზლდები! ეს იძულებითი გამოფხიზლება კი მეტად მტკივნეული და დაგვიანებულიაა! და ხარ ასე... ამ ჭანჭიკურ ცხოვრებას უკვე ვეღარ ეგუები, ხოლო იმ ნაოცნებარი და ნალოლიავები კოშკების ცხოვრებაში ასაგებად არც ნიჭი მოგდევს, არც ძალა და აღარც ენერგია! არადა, ვერც ელევი! ეგ რომ გითხრა, სადაც ვმუშაობ და რასაც ვაკეთებ, დამცინებ და რად გინდა?! დავლიოთ, მაგის რჯულიც არ იყოს, ეგებ მართლა ვიპოვოთ ჭეშმარიტება ღვინოში! ბედნიერი კაცი ხარ, ძმაო, წერ... ნამდვილ საქმეს აკეთებ, ტყვილა არ ჭამ პურს! ვიღაცისთვის საჭიროა ეგ შენი ნაწერი, აღელვებს, აფიქრებს...

მოკლედ, იხარჯები, იწვი! გაცვეთილად, ტრაფარეტულად ვლაპარაკობ, მაგრამ, სიმართლეს! თუ უკეთესს არ ხდის, სიამოვნებას მაინც ანიჭებს! და ბოლოსდაბოლოს, თვითონ შენ განიჭებს სიამოვნებას, კმაყოფილებას ეგ შენი საქმე! არადა, სიამოვნებით უხდა აკეთებდე კაცი საქმეს! ველარ წერ?! რატომ კაცო?! კარგი ერთი, სიუჟეტების პოვნას რა უნდა, სიუჟეტების მეტი რაა ქვეყანაზე!

იცი რა, თუ გინდა, ერთ კარგ სიუჟეტს მოგცემ მოთხრობისათვის... არა, ნამდვილი ამბავი არაა, ანეგდოტივითაა... მაშ ასე, ერთ მშვენიერ მრავალსართულიან სახლში... პუშკინი მგონია ჩემი თავი, გოგოლს რომ „რევიზორის“ სიუჟეტი აჩუქა... ესე იგი, ერთ კორპუსში ცხოვრობს ორი მეზობელი: ერთი მეხუთე სართულზე, მეორე — მის თავზე, მეექვსეზე. როგორც ქალაქშია მიღებული ახლა, ცხოვრობენ თავისთვის, თავთავიანთი ცხოვრებით. ეს ქვედა — ერთი ჩალიჩა ვინმეა, სადღაც ფულს ხვეტავს და თავისი ჰგონია ქვეყანა. განსაკუთრებით ჭალით მოაქვს თავი. მართლაც რომ ბრწყინვალე რამაა. აქ უკვე შენი ამბავია, როგორ აღწერ ამ ჭაღს, ოღონდ, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ სულ მცირე ათიათასი მანეთი მაინც ეღირება, ახალ ფულზე, რასაკვირველია... ეგ მერე გამოჩნდება; ეს უმნიშვნელოვანესი დეტალია. მეორე, ჩვეულებრივი... ჭაღი კი არა, მეზობელი; ჩვეულებრივი, რიგითი, უფულო და უჭაღო, როგორც ახლა ამბობენ, „პატარა ადამიანია“... ისე კი ,ანათებენ მშვენივრად, ხომ იცი... შიშველ ნათურებზე ვამბობ, კაცო! ბევრი რომ არ გავაგრძელო, გადაეკიდებიან ერთმანეთს, სარდაფის გამო; მეექვსე სართულელს ეკუთვნის, მაგრამ ის ფულიხვეტია ფულს ჩაყრის და წაართმევს. აქვთ ერთი შეხლა-შემოხლა... შენებურად გააფორმებ ამ ამბებს... ბოლოს, აიღებს ერთ მშვენიერ დღეს ეს სარდაფწართმეული ფერადი ტელევიზორის საყიდლად შეგროვილ ფულს, წავა, იყიდის შვიდას ორმოცდაათ მანეთიან ფერად ტელევიზორს, „ჰორიზონტს“, მიიტანს შინ (დეტალი: შინ მის გარდა არავინაა, ცოლშვილი ცირკში ჰყავს გაგზავნილი), შეიტანს იმ ოთახში, რომლის ქვემოთაც უკიდია იმ გაბერილს ის ძვირფასი ჭაღი, დადებს მაგიდაზე, მერე თვითონ შედგება სკამზე, ასწევს ტელევიზორს და მთელი ძალით დაახეთქებს იატაკზე ეკრანით. ტელევიზორი, რა თქმა უნდა, დაიმტვრევა.

მეორე წუთში ატყდება ბრახაბრუხი კარებზე. რასაკვირველია, მეზობელია; შემოვარდება გამწარებული: რა მიქენი, დამღუპე, „ლუსტრა“ დამიმსხვრიეო. შეიყვანს იმ ოთახში, ხედავ, რა უბედურება დამემართა, ფერადი ტელევიზორი დამივარდა, დავიქეციო. ბევრს იყვირებს ჭაღდამსხვრეული, იბობოქრებს, მაგრამ რას იზამს, ფაქტი იატაკზეა დამტვრეული ტელევიზორის სახით... როგორია, კარგი სიუჟეტია? არადამაჯერებელია? ჰმ... შეიძლება, შეიძლება... მოდი, ყველაფერ დამაჯერებელს გაუმარჯოს ამ ქვეყანაზე!

ჰო, კარგი, კარგი, წავედით... აიტ, ვის უბედავ შენ მაგას! არა გრცხვენია?! მეწყინება, იცოდე! არ გამოართვა! მე გამომართვი მასე! ესეც ასეე...

...შეხედე, რა ცაა! რა ვარსკვლავები! კარგია ვარსკვლავობა! ანათებ, სინათლეს გამოყოფ! ხალხს უხარია, სიამოვნებს შენი დანახვა! არა სჩანხარ და — მოგისაკლისებენ, შეწუხდებიან... გელიან! უჭირთ უშენოდ! საჭირო ხარ, შეუცვლელი!

ვიღაცას უთქვამს, მგონი კანტს, ვარსკვლავიანი ცისა და ზნეობრივი კანონის მეტი არაფერი უნდა ადამიანს ბედნიერებისთვისო! მაგრამ არა, მარტო ეს რომ კმაროდეს... ვარსკვლავიანი ცა არის, კანონებიც, ბედნიერება კი არაა! რატომ, თუ იცი?.. რატომ და, იმ კანონებს დაცვა ხომ უნდა?! ცხოვრებაში გატარება ხომ უნდა?! უნდა! იმ ზევითა მეზობლისა არ იყოს (ქვევითა არ მაინტერესებს ამ შემთხვევაში. იმას არცა აქვს ზნეობრივი კანონებით მცხოვრები ადამიანის პრეტენზია!); მშვენივრად იცოდა ყველა ზნეობრივი კანონი, მაგრამ მაინც არაზნეობრივად მოიქცა იმ სიტუაციაში. უკუღმართი მეზობლის დასჯა უნდოდა ულირსი საქციელისათვის, ვითომ, მაგრამ თვითონ უფრო ულირსად მოიქცა: „სარდაფი წამართვა?! მე ჭაღს დავუმტვრევ“! რითია ამის შემდეგ იმაზე უკეთესი?! კაცი რომ ღორულად მოგექცევა და შენც ღორობითვე უპასუხებ, გვერდით მიუწვები ტალახში, რას ერჩი, იმისი ამხანაგი ყოფილხარ და ტყუილად უკიჟინებ, ღორი ხარო! ასეა, სხვის თვალში ბეწვს შეამჩნევ ადამიანი, საკუთარში კი დირესაც ვერ დაინახავ! ვერ დაინახავ კი არა, — არ დაინახავ! დალოცვილო, ჭაღს რომ ამტვრევდი, იმას რატომ არ ფიქრობდი, რომ ხელოვნების ნიმუშს ანადგურებდი მისი სახით?! ის ჭაღი რომ იმ კაცის ცოლს, შვილს, თვითონ მას, — რომ შეიძლებოდა დასცემოდა თავში, ამაზე რად არ ფიქრობდი?! არ გსურდა გეფიქრა და იმიტომ! პირიქით, თავს იტყუებდი, ბოროტებას ვსჯიო! ცხენს ვერაფერი დააკლო, უნაგირი დაამტვრიაო!.. მაგრამ ერთი წუთით დავუშვათ, რომ მართლა ასე იყო, მართლა ბოროტებას სჯიდა. ამ ასპექტშიც ჩაიჭრა! თუ ბოროტება ვერ მიხვდება, ვერ გაიგებს, არ ეცოდინება, რომ დაისაჯა, ეს რანაირი დასჯაა! იმ ვითომ დასჯილმა ფულიხვეტიამ ხომ არ იცის, ხომ ვერ მიხვდა, ვერ გაიგო, რომ განგებ დაუმსხვრიეს ძვირფასი ჭაღი! იმდენი ვაჟკაცობაც არ აღმოაჩნდა, პირდაპირ ეთქვა, სამაგიეროდ მოგიზღეო! იარტისტა, სცენები მოაწყო, დავიქეცი, ფერადი ტელევიზორი დამემტვრაო! ფუჰ!.. ყველაზე დიდი უბედურება მაინც ისაა, რომ კმაყოფილი იყო საკუთარი თავით, „შურისძიებით“!

ანდა, თავის ცოლშვილს რას ერჩოდა?! იმათ რაღა დაუშავეს, იმდენი ხნის ნაოცნებარი და ნანატრი ტელევიზორი რომ დაუმსხვრია?! ეს ხომ სიხარული მოჰპარა! ვინ იცის, კიდევ როდის ეღირსებათ! ეეხ, კაცი ყველაფერს რომ ჩაუღრმავდე, შეგშლის ჭკუაზე! შენ კი იძახი, არადამაჯერებელიაო! ბევრი რამ ხდება ჰორაციო ქვეყნად ისეთი, ფილოსოფოსებს სიზმრადაც რომ არ მოელანდებათ! დავიღალე! წავიდეთ, თორემ გათენებულა—გამიშვის მიმღერებ ალბათ! აბა, არ დაიკარგო ისევ! ა, ჩემი მისამართი... წერე, ძმაო, წერე! შენ კარგად იყავი და სიუჟეტს მოუკვდა პატრონი! მთავარია იდეა! აბა შენ იცი... ბედნიერად!

...კარგი ქალო, ნუ შემჭამე! მე ვარ ლოთი?! არა გრცხვენია? ხუთი წლის უნახავი მეგობარი შემხვდა და ორი ჭიქა არ დაგველია?! დამემტვრა და რა ვქნა ახლა, მომკალი თუ გინდა! ტელევიზორი კი არა, კაცი ტყდება! არ გვქონია იმდენი ხანი ფერადი ტელევიზორი და არ დავხოცილვართ! კიდევ ვიყიდით, ნუ გეშინია!

# ლექსები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ალა ნემილოვა

### სამშობლო

დგას ოქტომბერი. ბურუსშიც ვხედავ
მშობლიურ ფერებს, მშობლიურ
მინდვრებს.
მატარებელი ნაპირებს მისდევს,
თან მიაქვს მათი უთქმელი სევდაც.

ვაგონი ფიქრებს სათუთად არწევს.
ცა დაიბინდა, თოვს და არცა თოვს.
ბორბლების ხმაში სიმღერას ვარჩევ
ნაღვლიანსა და უმისამართოს.

გადავივიწყებ ამ ცას და ამ დღეს
მისთვის, რომ მერე კვლავ გავიხსენო —
გარდავიცვალო და მკვდრეთით აღვსდგე,
რომ ამ განცდებზე ლექსები ვწერო.

### შენ მეუბნები

შენ მეუბნები: ნეტავ სადმე მეგულებოდეს
ქალი, ვინც მიყვარს — მოვკვდე ცხრა
მთას თუ მოვერიდო...
მე კი ვნატრობ, რომ ახლა არსად
გეჩქარებოდეს —
შენს მხარს მივეყრდნო და გავირინდო.

თარგმნა მზია ხეთაგურმა.

## ირაკლი გოგოლაური

### ხალხურ კილოზე

* * *

უფლის სერობის დარი დგას
მიდი-მოდიან ქალანი...
ვისნი გამყვება ნეტარა
საგზლად ლამაზან თვალანი?

იმის შუქითამც ამივსო
ეზო-კარი და ტალანი,
აღარას დავიჩივლებდი,
რაც უნდ მამსვლოდა ზარალი...

* * *

წვიმს და წვიმს... მწყემსის ქოხში ვარ,
ქვაბში თუხთუხებს ხინკალი...
ცივი წყლით ვაქრობ ოხშივარს,
გადარეულა ცისკარი!

ქოხში ვარ, შენთვის ვთამადობ,
ღვინით ვკლავ გულის საღერღელს,
მე შენმა მზერამ დამადნო,
ველარც გაქცევას ვახერხებ, —

ჩემს ირგვლივ მთათა ჯარია,
საით წაუვალ ამ დევებს?!
მივბერტყავ ბალახს ცვარიანს,
თან შენნი თვალნი მამდევენ!

* * *

— ირმისტუჩით წყარო გისვამთ?
ქამრად ლელი გქონებიათ?
ან გუგულის კაბის ფერით
თავი მოგიწონებიათ?

ბეჩავებო, თქვენ მამული
ვითომც არცა გქონებიათ!





ეროვნული ბიბლიოთეკა





# ნანი შალიკაშვილი

წყალი მოვიდა

მუშაობის შემდეგ

გამარჯვება

გვალვა

ჩაფიქრება

ფოტო ვიქტორ ჯაირანოვისა.



# თბილისის ზოია რუხაძის სახელობის 36-ე პროფტექნიკურ სასწავლებელში





სასწავლებლის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი ეთერ სოლომონია ესაუბრება მოსწავლეებს.

შესვენება.

სასწავლო სახელოსნოში. საწარმოო სწავლების ოსტატი ნათელა მოსეშვილი.

მომღერალ გოგონათა გუნდი.

მიმდინარეობს გაკვეთილი.

მეათეკლასელი ლია აფციაური თანატოლებთან ერთად.





ფოტო სერგო ედიშერაშვილისა


ეროვნული ბიბლიოთეკა





ძველი თბილისი

გიორგი

ქალის პორტრეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნატალია ფალავანდიშვილი







# გიორგი ციციშვილი — 60

„ერთ საომარ თვეში კაცი ჩვეულებრივი ცხოვრების რამდენიმე წლის გამოცდილებას იმკის...

— და არა მარტო გამოცდილებას — სიყვარულსა და სიძულვილს...

— დიდებას ან სირცხვილს, ჯანის სისაღეს ან ხეიბრობას“...

ფრონტზე მყოფ მებრძოლთა ეს დიალოგი გიორგი ციციშვილის ერთ ნოველაში ამოვიკითხე, იმ კაცის წიგნში, რომლის მხრებზეც ოთხმა გრძელმა და მძიმე საომარმა წელიწადმა გადაიარა.

რამდენი წლის გამოცდილებას მოიმკიდა იგი ორმოცდაექვს საომარ თვეში! და მით უმეტეს, ამ თვეების დიდი ნაწილი მოდის სამამულო ომის თვალუწვდენელი ფრონტის იმ უბანზე, სადაც ყველაზე მეტად და ხანგრძლივად ბობოქრობდა გაუგონარი ორთაბრძოლის სისასტიკე. ეს იყო ბლოკადის რკინის სალტეებში მოქცეული ლენინგრადი, მანამდე გაუგონარი მითი და სინამდვილე. ძირითადად სწორედ ეს დღეებია გაცოცხლებული ხსენებული ნოველების რკალში.

ერთდროულად ორი უმაღლესი სასწავლებლის — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და თბილისის სამრეწველო უნივერსიტეტის სტუდენტი გიორგი ციციშვილი ომის დაწყების პირველ დღეებშივე ცეცხლის ხაზზე გავიდა, როგორც რიგითი ჯარისკაცი და იმ ცეცხლიდან გამოვიდა არტილერისტი ოფიცრის სამხრეებით, გამოვიდა სულით მაგარი, თან გამოიყოლა სამშობლოს მტრების სიძულვილით აალებული ადამიანის ნათელი და უზადო სიყვარული.

...გიორგი ციციშვილს პირველად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, გიორგი ლეონიძის კაბინეტში შევხვდი. ის-ის იყო საკანდიდატო დისერტაცია დაეცვა და ამ ინსტიტუტში მოსულიყო სამუშაოდ. ინსტიტუტის დირექტორმა გიორგი ლეონიძემ პირველი დღეებიდანვე ამ გულღია და ნათელსიტყვიან ახალბედა მეცნიერში დიდი ერუდიცია და უნარი ამოიკითხა და მისდამი განსაკუთრებულ სითბოს და ზრუნვას იჩენდა.

გაუმართლდა კიდეც! — ლიტერატურათმცოდნეობას, ქართულ კრიტიკას მოევლინა მოღვაწე, რომელმაც იმთავითვე მიიპყრო ფართო საზოგადოების ყურადღება, გამოავლინა სამეცნიერო მუშაობის ორგანიზატორული ნიჭი და სულ მოკლე ხანში დაწინაურდა ჯერ ინსტიტუტის სწავლულ მდივნად, შემდეგ — დირექტორის მოადგილედ. მისივე თაოსნობით ინსტიტუტში შეიქმნა მოძმე ხალხთა ლიტერატურულ ურთიერთობათა განყოფილება. თვით გიორგი ციციშვილიც ნაყოფიერად მუშაობს ამ ურთიერთობათა შესწავლის დარგში.

მკითხველმა ზედიზედ მიიღო გ. ციციშვილის მონოგრაფიები ჭოლა ლომთათიძეზე, შალვა დადიანზე, სანდრო შანშიაშვილზე; ვასო გოძიაშვილზე (იგი ნაყოფიერად მუშაობს ქართული დრამატურგიის, თეატრისა და თეატრალური კრიტიკის ისტორიის დარგშიც), სხვა მონოგრაფიები და სამეცნიერო ნაშრომები ქართული ლიტერატურის ისტორიაზე, კარგად გაფიქრებული და გაანალიზებული წერილები თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებზე, თეორიული ხასიათის შრომები. ამ ღრმა და საფუძვლიანი მეცნიერული შრომის ბუნებრივი დაგვირგვინება იყო გიორგი ციციშვილის არჩევა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

გიორგი ციციშვილი, როგორც მეცნიერი ლიტერატორი და კრიტიკოსი, მარტო თავის სამუშაო მაგიდას როდი უზის. მას ხშირად ნახავთ მოძმე რესპუბლიკებში გამართული სამეცნიერო კონფერენციების, სიმპოზიუმების, სემინარების ტრიბუნებზე, საზღვარგარეთის ქვეყნებში, სადაც ის კითხულობს ლექციებს ლიტერატურის საკვანძო საკითხებზე.

და აი თხუთმეტიოდე წლის წინათ ჟურნალმა „მნათობმა“ გამოაქვეყნა ფრონტული ნოველების ციკლი, რომელსაც ხელს აწერდა მწერლობისათვის მანამდე უცნობი გიორგი ხვედურელი. პირველი სტრიქონიდან ბოლო სტრიქონამდე თვალი ვერ მოვაცილე ამ ნოველებს. ალბათ, ასე იყვნენ სხვებიც. გამაკვირვა და მომხიბლა ფრონტული ბატალიების ოსტატურმა ძერწვამ, ომის ქარ-ცეცხლში მდგარი ადამიანების სულისა და განცდების გამოხატვის უნარმა.

როცა ეს ნოველები სათაურით „სიყვარული სისხლის წვიმების დროს“ 1975 წელს ცალკე წიგნად გამოიცა, მკითხველმა სიხარულითა და კმაყოფილებით გაიგო, რომ გიორგი ხვედურელი გიორგი ციციშვილის ფსევდონიმი იყო.

ჩვენს თვალწინ უცებ დაიბადა ჭეშმარიტი ბელეტრისტი, რომელმაც ოცდაათ წელიწადს გულში ატარა ომის ჯოჯოხეთში ნანახი და განცდილი და შემდეგ ესოდენ შთამბეჭდავად მოგვითხრო, თვალისტკენამდე ელვარე ფერებით დაგვიხატა ყოველივე ის, რაც საკუთარი თვალით იხილა, საკუთარი გულით განიცადა.

ომი დამთავრდა, მაგრამ ბრძოლა გრძელდება სიკეთის განსამტკიცებლად, ზოგიერთის სულში დაბუდებული ბოროტების დასათრგუნავად. ომგამოვლილი მწერალიც განაგრძობს ბრძოლას, რაც შესანიშნავად აისახა მაღალი მოქალაქეობრივი მრწამსით გამსჭვალულ რომანში „სძლიე სიხარბესა შენსა“.

გ. ციციშვილი წლების მანძილზე რედაქტორობდა ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას“, ხოლო 1977 წლიდან მუშაობს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნად. კომუნისტ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ხშირად შეხვდებით მკითხველებთან შეხვედრებზე, სხვადასხვა თავყრილობაზე, იქ, სადაც ცხოვრება მწერლის თვალსა და სიტყვას უხმობს.

ფრონტზე მიღებულ სამამულო ომის მეორე ხარისხისა და წითელი ვარსკვლავის ორდენებს ამ დღეებში მიემატა კიდევ ერთი მაღალი ჯილდო — შრომის წითელი დროშის ორდენი. ეს ორდენი გიორგი ციციშვილმა თავისი დაბადების მესამოცე წლისთავზე მიიღო.

სამხედრო წესდების თანახმად, უმცროსი ჩინის ოფიცერი მოვალეა, გზად შეხვედრილ მაღალი ჩინის ოფიცერს პირველი მიესალმოს და მეც, დიდი სამამულო ომის დროინდელი ლეიტენანტი, ლიტერატურის საცალფეხო ბილიკზე შეხვედრილ გიორგი ციციშვილს მივესალმები:

— ჯანმრთელობას გისურვებთ, ამხანაგო კაპიტანო!

მივესალმები, ვულოცავ, სახელოვან იუბილეს, ვემადლიერები მის გულქართულობას, მის ნათელ საქმეს და ვუსურვებ — მისი სიცოცხლის, მისი კაცობის სამხრეებზე მომავალი ღვაწლის ახალი ვარსკვლავები აჩახჩახებულიყოს!

**თეიმურაზ ჯანგულაშვილი**

წყაროს თვალივით მოდის, ვიტყვით ხოლმე. ამაში იგულისხმება შემოქმედების სიუხვე, სინატიფე და მრავალფეროვნება. ასეთია გიორგი ციციშვილის შემოქმედება.

ხუთი წელია, რაც იგი საქართველოს მწერალთა კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელია. იცის სხვათა საფიქრალის, სატკივარის გულთან მიტანა. ეს მას, როგორც პიროვნებას, კარგად ახასიათებს.

გიორგი ციციშვილს ერთ ხანს საუკეთესო ფილოლოგისა და კრიტიკოსის სახელი ჰქონდა, ამ ბოლო დროს კიდევ ერთ ჟანრში გამარჯვებულის სახელიც მიემატა: იგი ახლა საყოველთაოდ აღიარებული ბელეტრისტია. მისმა მხატვრულმა პროზამ ბევრი მკითხველის გულში პოვა ბინა.

მწერლობაში იგი ნამდვილად კარგად მომზადებული მოვიდა. მან ხომ დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება მიიღო, განიცადა ომის მრისხანება. ყოველივე ეს საფუძვლად დაედო მის შემოქმედებას და ხელი შეუწყო მრავალმხრივი შემოქმედის აღმასვლას.

ძვირფასო გიორგი, შენც გეწვია დაბრძენებული კაცის ასაკი, მაგრამ წინასწარ გეტყვი: სამოცი წელი არც ისე საშიშია, როგორც ზოგსა ჰგონია. ამას გამოცდილება მალაპარაკებს. ამიტომ გისურვებ ჯანმრთელობას და შემოქმედებით წინსვლას.

**ლავრენტი ჭიჭინაძე**

„დროშის“ მკითხველები გიორგი ციციშვილს იცნობენ როგორც აქტიურ საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს მწერალთა კავშირის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, მშობლიური ლიტერატურის და თეატრის ისტორიის შესანიშნავ მკვლევარს.

ჩვენი საზოგადოებრიობა გულწრფელი სიხარულით შეხვდა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ გიორგი ციციშვილის არჩევას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრკორესპონდენტად. საიუბილეო დღეებში სახელოვან მწერალსა და მეცნიერს გადაეცა სამშობლოს მაღალი ჯილდო — შრომის წითელი დროშის ორდენი.

ჟურნალ „დროშის“ სარედაქციო კოლეგია და რედაქციის მთელი კოლექტივი მრავალათასიანი მკითხველის სახელით გულითადად ულოცავენ იუბილარს დაბადების 60 წლის თავს და უსურვებენ ხანგრძლივ სიცოცხლეს, დიდ შემოქმედებით გამარჯვებებს.



ვლადიმერ ბექაური (პირველ რიგში, შუაში) თანამშრომლებთან.

## არდავიწყება მოყვრისა...

# მგზნებარე პატრიოტი

100 წელი შესრულდა შესანიშნავი გამომგონებლის, ორგანიზატორის, რევოლუციონერისა და სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტის ვლადიმერ ივანეს ძე ბექაურის დაბადებიდან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ვლადიმერ ბექაურის ბიუსტი დაიდგმება მის მშობლიურ სოფელ კიტოხში (დუშეთის რაიონი).

ვლადიმერ ბექაური დაიბადა 1882 წლის 27 დეკემბერს, ღარიბი გლეხის ოჯახში. მამა adრე გარდაეცვალა. დაქვრივებული ეკატერინე ნოზაძე ობლად დარჩენილი სამი შვილითურთ მშობლიურ სოფელ ალში (ხაშურის რაიონი) გადასახლდა.

1894 წელს ვლადიმერი შეიყვანეს ხაშურის რკინიგზის სასწავლებელში, რომელიც 1899 წელს დაამთავრა. იმავე წელს სწავლა განაგრძო თბილისის რკინიგზის ტექნიკურ სასწავლებელში, კარგი სწავლისა და სანიმუშო ყოფაქცევისათვის ბევრჯერ დაიმსახურა სასწავლებლის ჯილდო.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ვლადიმერი ამიერკავკასიის რკინიგზის სხვადასხვა უბანზე მუშაობდა; აქტიურად მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციაში. ხაშურის დეპოს აჯანყებულ მუშებს ვლადიმერმა სახელდახელოდ დაუმზადა ხელყუმბარები და თვითნაკეთი ზარბაზანი.

რევოლუციის დამარცხების შემდეგ ვლადიმერ ბექაურმა ციმბირს შეაფარა თავი და რკინიგზის მშენებლობაზე ტექნიკოსად დაიწყო მუშაობა.

რამდენიმე წლის შემდეგ ვლადიმერი დაოჯახდა და პეტერბურგში გადავიდა საცხოვრებლად. ამ პერიოდიდან იწყება დიდებული პიროვნების ნაყოფიერი გამომგონებლობითი მუშაობა.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ვლადიმერ ბექაური მთელი არსებით ჩაება ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის სამსახურში. იგი იყო პეტროგრადის რკინიგზის კვანძის ყველა ხაზის სრულუფლებიანი ინსპექტორი.

1921 წლიდან ვლადიმერ ბექაური სიცოცხლის ბოლომდე სათავეში ედგა განსაკუთრებულ ტექნიკურ ბიუროს, რომელიც ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას ემსახურებოდა.

1919 წელს ი. სტალინმა ბექაური ლენინთან მიიყვანა. გამომგონებელმა რევოლუციის ბელადს ორი ნიმუში წარუდგინა. ერთი იყო ცეცხლგამძლე კარადა, მეორე — პატარა ხელსაწყო, რომლის ნათურები ბგერითი ბრძანებით ინთებოდა და ქრებოდა.

ლენინს მოსწონებია მახვილგონივრული გამოგონებები და მათი ავტორის გაცნობით ძალზე კმაყოფილი დარჩენილა.

ნათურებიანი ხელსაწყოს მოქმედება შემდეგნაირად ხდებოდა: ბექაური დაბალ ხმაზე წარმოთქვამდა სიტყვას „კრასნი“ და წითელი ნათურა ინთებოდა. იტყოდა „სინი“ — წითელ ნათურას მაშინვე ცისფერი ნათურა ცვლიდა.

სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, „ოსტექბიუროს“ ყოფილმა მთავარმა ინჟინერმა ნ. პოპოვმა ერთხელ გვითხრა: „ლენინმა აღმოაჩინა ბექაური. იგი თვითნაბადი გამომგონებელი და ნიჭიერი ხელმძღვანელი იყო, თუმცა ნათურებიანი ხელსაწყო რადიოტალღებით არ მოქმედებდა, მაგრამ ლენინი მიხვდა, ვინც ბგერით მოქმედი ხელსაწყო მოიგონა, იგი რადიოტალღებით მოქმედ იარაღსაც გააკეთებდა“.

ერთობ მახვილგონივრული იყო მეორე გამოგონებაც. ცეცხლგამძლე სეიფის გახსნა მხოლოდ წინასწარ გულდასმით შემუშავებული პრინციპით შეიძლებოდა.

ვლადიმერ ბექაური დიდი ორგანიზატორული ნიჭითაც იყო დაჯილდოებული. მან ირგვლივ შემოიკრიბა ცნობილი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი სპეციალისტები, მიიზიდა და აღზარდა მრავალი ახალგაზრდა მეცნიერი. ვლადიმერ ბექაური ყოველთვის დიდი სიყვარულით, პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდა მრავალრიცხოვან კოლექტივში.

დიდ სამამულო ომში — ხმელეთსა და ზღვაზე, წარმატებით იყენებდნენ მათ მიერ შექმნილ შეიარაღების სხვადასხვა ნიმუშს.

ვ. ბექაურმა და ვ. მიტკევიჩმა ერთობლივად შექმნეს რადიოტალღებით მართვადი ფუგასები, რომელთაც მათი შემქმნელების გვარების პირველი მარცვლების მიხედვით „ბემი“ უწოდეს.

„ბემი“ ფაშისტების რისხვად გადაიქცა. ჩვენი მესანგრეები „ბემით“ უდიდეს მატერიალურ ზარალს აყენებდნენ მტერს, მწყობრიდან გამოჰყავდათ ცოცხალი ძალები, მორალურ სიმშვიდეს უკარგავდნენ ფაშისტებს. „ბემს“ ფართოდ იყენებდნენ მტრის ზურგში, დროებით ოკუპირებულ რაიონებში, სტრატეგიულ პუნქტებსა თუ ობიექტებზე.

1941 წლის ნოემბერი იდგა. ფაშისტები მოსკოვზე გადამწყვეტი შეტევისათვის ემზადებოდნენ.

საბჭოთა მესანგრეებმა შეძლეს მდინარე ისტრაზე ხიდი აეფეთქებინათ და მის ბურჯებში ოსტატურად შეენიღბათ „ბემი“.

გერმანელებმა დიდი მსხვერპლის ფასად მოახერხეს დანგრეული ხიდის ხელში ჩაგდება და მისი აღდგენა. ხიდს სამმაგი მავთულხლართი შემოავლეს და საიმედო მცველებიც მიუჩინეს.

როცა დაზვერვამ მოსკოვს აცნობა, რომ ისტრის ხიდზე ფაშისტების მოტომექანიზებული ნაწილები გადმოდიანო, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქიდან გაგზავნილმა რადიოიმპულსმა ხიდზე შემდგარი ჰიტლერელები და მათი ტექნიკა მძლავრი აფეთქებით ცაში ატყორცნა.

მტერი რამდენიმე დღით შეფერხდა. დროის ამ მოგებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მოსკოვის დაცვისათვის.

ვლადიმერ ბექაურს, ბუნებრივია, მოწინააღმდეგენიც ჰყავდა. ბევრისათვის გაუგებარი და მიუღებელი იყო მისი ახალი წამოწყებანი.

დიდია ვლადიმერ ბექაურის დამსახურება ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და ძლიერების განმტკიცების საქმეში. სამშობლოს წინაშე გაწეული ღვაწლისათვის იგი დაჯილდოებული იყო ლენინის, შრომის წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავის ორდენებით, აგრეთვე საპატიო სიგელით, მადლობებით.

1920 წელს შემფასებელმა კომისიამ ლენინს წარუდგინა დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ კომისიამ წლის პირველ ნახევარში პრემიის მისანიჭებლად განიხილა 51 გამოგონება. ერთ გამოგონებას პრემიაზე უარი ეთქვა. ორი გამოგონება ვლადიმერ ბექაურის იყო (ვაგონების მოცდენის რეგისტრაციისა და აღრიცხვის აპარატი და რადიოტალღებით მართვადი ნაღმი). დანარჩენი 48 გამოგონებიდან, პრემიის სახით, მხოლოდ ერთმა მიიღო დიდი თანხა — 1,5 მილიონი მანეთი. ვლადიმერ ბექაურს ორივე გამოგონებაში 16 მილიონი მანეთი პრემია მიეკუთვნა.

ქართველი გამომგონებელი მეტად ჰუმანური ადამიანი იყო. მან თავის სახსრებით ქალაქ ხაშურსა და სოფელ ალში საავადმყოფოები ააშენა და მათ ძვირფასი მოწყობილობანი შეუძინა. სოფელ ალის კოლმეურნეობას ვლადიმერ ბექაურმა ტრაქტორი შეუძინა, დამშეული ვოლგისპირეთის მშრომელებისათვის საკუთარი სახსრებით დიდი თანხა გადარიცხა...

ვლადიმერ ბექაურს კიდევ დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო ჩვენი ქვეყნისათვის, მაგრამ იგი 1937 წელს თავისი ნიჭისა და შემოქმედებითი ენერგიის გაფურჩქვნის ასაკში დაიღუპა, 55 წლისა.

**იოსებ ბექაური**

## ეუჯენიო მონტალე

თანამედროვე იტალიური პოეზიის კლასიკოსმა ეუჯენიო მონტალემ თავისი ერი აზიარა შექსპირის, ელიოტის, სერვანტესისა და სტეინბეკის უკვდავ ხელოვნებას. ამიტომაც მას, როგორც მწერალსა და მთარგმნელს, 1976 წელს მიენიჭა ნობელის პრემია.

მონტალეს პოეზია მსოფლიოს ხალხთა ბევრ ენაზეა თარგმნილი.

### წიგნიდან „ჯადოსნური სალებავი“

I

ოი! საოცრებავ,
დღეს შევარდენი ღრუბელთან ერთად
ერთ სიმაღლეზე დაფრინავს.
ღრუბელო, ნეტავ რამ აგამღერა,
ან ვინ შეგმოსა,
შენ, მაცოცხლებელ გვირგვინ-დაფნითა,
ან რად იქეცი შევარდნის ფერად,
ან სად იჩქარი ჩემს წარაფიდან?

...მოდი, დღეს აჩუქე,
კვლავ აჩუქე მიწას ეს წვიმა,
რომ ჩაგდგომია ჯიქანში რძისებრ,
ჩემს მშობელ მიწას აწოვე მზის რძე,
როგორც გჩვევია,
ვით იცოდი დიდი ხნის წინათ...
აგერ ამ ყანას აჩუქე წვიმა,
ძველებურად რომ დღეს ველარ ბრწყინავს...

...მოდი და, ღრუბელო,
წვიმას, — ამ მაცოცხლებელ მზის რძეს,
ნუ დაამადლი ამ დიდ მდინარეს,
ნაკადულად რომ იქცა უშენოდ,
გახსენი გული,
და მიწა ჩემი ამ გულით იძმე,
მდინარე რომ არ გაუჩინარდეს,
შენ შეგიძლია, დღეს მას უშველო...

...და სწორედ ამისთვის
გამოგაგზავნა მიწაზე შენ მზემ,
შენ გევალება, რომ გაალვიძო,
გამოაცოცხლო,
ეს დამაშვრალი ფერთა სავანე,
რომ კვლავ ამღერდეს ძველებურად,
მინდვრები შენზე, მთა-ველი შენზე,
მომეცი წვიმა,
მომეც, ნუ მორცხვობ,
ვალის გადახდას მიწა გავალებს...

...და ახლა კი ვხვდები,
დღეს შევარდენი და ღრუბელი
ერთ სიმაღლეზე რატომ დაფრინავს...

II

მაშინ, როდესაც სულშემხუთველი აგვისტოს ხვატი,
გადააბიჯებს მზით დასხებულ ბაღის გალავნებს,
მესმის ხმა უცხო, ვით ანდამატი,
სიცხის ალმურით ბაღებს განაგებს...

შაშვის ჭახჭახში დღისით თუ, ფოთლის შრიალში ღამით,
სიცხით გულწასულ, ფოთოლჩამომჭკნარ ხეთა ხმა მესმის,
და გეგონება სიცოცხლეს ამით,
მხოლოდ სიკვდილის შავი ფრთა ესხმის...

მაგრამ გახედე, აქვე თვალს იპყრობს მწვანე ცერცველა,
რომ მოჰყოლია აგვისტოს ხელით დამსკდარ ნაპრალებს,
და კუპრისფერი ჭიანჭველების ჯარი ხარხარებს,
პურის ყანებში ისე ხარხარებს...
რომ დარწმუნდები, აქ კვლავ არსებობს, სიცოცხლე მძაფრი,
გზას რომ მიიკვლევს უწყლო სივრცეში მზის სხივთა აფრით,
გადამალული აგვისტოს ხვატში,
და გახვეული გვალვის პარტახში...

...დიახ, დაგვალულ მიწის სიცოცხლეს ირწმუნებ მაშინ,
როცა მოისმენ მოლიპულ ქვაზე,

ხილ[illegible]
ჭრიჭინობლების მარადიულ ნანას,
აღარ აფიქრებთ აგვისტოს მათ მზე,
არავითარი სიცხის სატანა...
...და დარწმუნდები, რომ აქ სულ სხვაგვარ,
მიწისეული სხვადასხვაობით,
სუნთქავს ხმელეთი, მთელი სამყარო,
რომ აქ მზე არის მართლაც გრძნეული
და ძალუძს ამ მზეს გადმოგვაყაროს
მეტი სხივები, მეტი მხურვალე ცის შთაგონება,
რომ ზამთარშიაც უმზეოდ ისევ,
ზაფხულის სიცხის თუნდ მოგონებაც,
ადნობდეს ყინულს აგვისტოს მზისებრ,
და ზამთარშიაც ცხოვრების გზაზე, ამგვარად, ასე,
თან ვატარებდეთ ზაფხულის ფერებს და სილამაზეს...

### წიგნიდან „სასახლეები“

I

თხრილის პირზე
ნაადრევად ამოსული ყვავილები,
ისე ნაზი,
ისე კდემამოსილია,
რომ მსგავს, მათ მსგავს სილამაზეს
ვერც ერთ ბაღში ვერ იპოვნი,
თუნდაც ძებნით დაიღალო,
მაინც ვერსად ვერ იპოვნი,
ისინი ხომ ჭეშმარიტად
ზეციურთა მოციქულეა...

...ჰო, ზეციურთ უფრო გვანან,
თხრილის პირას ამოსული,
ნაადრევად ამოსული,
ეს გულჩრელი ყვავილები,
რომ გიწვევენ, ყველა მათგანს,
უთხრა სიტყვა
სათაყვანო, საალერსო,
გაზაფხულის პირველ სუნთქვას იგრძნობ [illegible],
იგრძნობ მათგან,

ვისგანაც რომ ცა და მიწა,
ნაადრევად ასე ფერობს:
და ვით შეძლებ, სათითაოდ ყველა მათგანს,
უსიტყვოდ არ ეამბორო, უსიტყვოდ არ მიეფერო!

...ნაადრევად ამოსული,
ყვავილები თხრილის პირად,
გაზაფხულის პირველ მერცხლებს,
პირველ მერცხლებს გვანან ხშირად!

II

ქარია, და ქარი აწვალებს ხის კარებს,
შუქი და სიბნელე ერთურთში ირევა,
მიწა დღეს ცის დარდებს
გულთან არ იკარებს,
სულაც არ აწუხებს მას მთვარის მილევა.
ვიღაცას ამაზე მწარედ ეცინება,
სულში მან წარსულის ფარდა შეარხია,
სათქმელი ვულისა,
ბაგეს ეყინება,
ოცნებამ ამ ღიმილის ფრთები შეახია...

...და ვხედავ, ჩვენს შორის ახლა უფსკრულია,
ვატყობ რომ, მე ზეცად, შენ მიწად დარჩები,
ბევრი რამ, ძვირფასო,
თუმც ორივ გულს სწყურია,
მაგრამ დრო გავა და, ორივ გადავრჩებით...

...ახლა კი, ქარი კვლავ, აწვალებს ხის კარებს,
და დარდებს თავისას კარებზე იქარვებს...

იტალიურიდან თარგმნა ნაზი ჭედიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა





სულ ახლახან ქართული საბჭოთა საბალეტო ხელოვნების ჰორიზონტზე ახალი ვარსკვლავი გამობრწყინდა — მაკა მახარაძე.

როგორც ცნობილია, უკანასკნელ წლების საბალეტო ხელოვნების სამყაროში ბევრი სიახლეა. ზღაპრულ-ზეციური, ფანტასტიკურ-მითიური ბალეტი თავისი ნაზი სიმეტრიულობით შეცვალა მამაცურ-რეალისტურმა, ცხოვრებასთან დაახლოვებულმა თანამედროვე ცეკვამ. ბალეტის ილეთები ზოგჯერ მოულოდნელი, მაგრამ უფრო გასაგები და მეტყველი გახდა.

ახალ სტილშია შექმნილი ბიზე-შჩედრინის ბალეტი „კარმენ-სიუიტა", რომელიც პირველად მოსკოვის დიდ თეატრში დადგა გამოჩენილმა კუბელმა ბალეტმაისტერმა ალბერტო ალონზომ. სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა წილად. კარმენის როლის პირველი და შეუდარებელი ინტერპრეტატორი იყო საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი მაია პლისეცკაია.

გასულ წელს ბიზე-შჩედრინის „კარმენ-სიუიტა" თავის რეპერტუარში შეიტანა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა. ბალეტის დასადგმელად მოსკოვიდან მოიწვიეს ახალგაზრდა ნიჭიერი ბალეტმაისტერი ალექსანდრე პლისეცკი.

პლისეცკიმ კარმენის როლი მაკა მახარაძეს მიანდო. მან მაშინვე შენიშნა მაკას გარეგნული მონაცემები, ქართული ტემპერამენტი, გარდასახვის ნიჭი, სცენიურობა და მშვენიერი პლასტიკა.

მაკა მახარაძეს ცეკვის რამდენიმე მასწავლებელი ჰყავდა, მაგრამ იგი დიდი ბალეტის გზაზე გამოცდილმა პედაგოგმა, წარსულში თავად გამოჩენილმა ბალერინამ, ვერა წიგნაძემ დააყენა. საოპერო თეატრის დასში მისვლისთანავე მაკა მახარაძეს უყოყმანოდ მიანდეს ქუჩის მოცეკვავის როლი „დონ-კიხოტში". ეს უკვე იშვიათობა იყო...

ჩინებულ დებიუტს ბევრი სხვა ხასიათური და თვითმყოფადი პარტია მოჰყვა. მან შთამბეჭდავად შეასრულა ინდური ცეკვა „გორდაში", დიდი ექსპრესიით შექმნა „კასტანიეტები" და აღმოსავლური ქალის უტყუარი სახე დახატა აზერბაიჯანულ ბალეტ „ათას ერთ ღამეში". ეს ყველაფერი იყო ერთგვარი სამზადისი





ეროვნული ბიბლიოთეკა



რაღაც განსაკუთრებულისთვის და „კარმენ-სიუიტას“ პირველმა რეპეტიციებმა უკვე ცხადყო, რომ შორს აღარ იყო დიდი გამარჯვება.

ბევრი სიძნელის გადალახვა მოუხდა ახალგაზრდა მოცეკვავეს. თავდაპირველად მაკას გამუდმებით ედგა თვალწინ მაია პლისეცკაიას მიერ შექმნილი შეუდარებელი კარმენის სახე, მაგრამ თანდათან შეძლო ალონზოს მიერ მოხაზული ქორეოგრაფიულ ჩარჩოებში საკუთარი სულის ჩაბერვა, კარმენის განსხვავებული სახის შექმნა, თავი იჩინა ქართულმა ტემპერამენტმაც.

ვიმედოვნებთ, რომ კარმენის ურთულესი როლის უნაკლო შესრულება ჯერ არ არის მაკა მახარაძის მიერ ბალეტში თქმული უკანასკნელი სიტყვა. მისი ტალანტი აღმავლობის გზაზეა და, უთუოდ, კიდევ ბევრჯერ გაგვახარებს.

მაშ, გზა დავულოცოთ ჩვენს ნიჭიერ მოცეკვავეს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს მაკა მახარაძეს!

**სოსო ბეგიაშვილი**

ფოტო გონდო დვალიშვილისა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



დილა

# ადამიანი ყველაზე ძლიერია

ყირგიზული ხალხური ზღაპარი

ერთხელ ხოხობი მდინარეზე ჩავიდა წყლის დასალევად.

მდინარე ყინულით იყო დაფარული, ნახვრეტი იპოვა, მიადგა და სმით გული იჯერა. აფრენა მოინდომა, მაგრამ ფრთები ყინულზე მიპკვროდა.

— ეი, ყინულო, რა მაგარი ხარ!— თქვა ხოხობმა.

— არა, ხოხობო! — მიუგო ყინულმა. — წვიმა უფრო ძლიერია. წამოვა თუ არა, ვლხვები.

წვიმა ჩაერია:

—მე რა ვარ, მიწა უფრო ძლიერია. მიწოვს და მსრუტავს.

ახლა მიწამ ჩაურთო:

— მე რა ვარ, ტყე უფრო ძლიერია. ჩემში ფესვებს იდგამს და მფიტავს.

— მე რა ვარ, — ცეცხლი უფრო ძლიერია, — გამოეპასუხა ტყე, — ალში მხვევს, მწვავს და მბუგავს.

ცეცხლმა ეს რომ გაიგონა, თქვა:

— ქარის მეშინია.

— ხეს ამოვძირკვავ, ხანძარსაც ჩავაქრობ, — წამოიწყო ქარმა, — მაგრამ ბალახის პატარა ღეროაა, ვერა და ვერ ვძლიე.

ბალახმა მიუგო:

— მე რა ვარ, აი, ცხვარი მოვა და შემჭამს.

ცხვარმა ეს რომ გაიგონა, თავი გააქნია:

— მე რა ვარ, რუხი მგელი თუ გამოჩნდა და დუმაზე კბილი გამკრა, რაღა მეშველება!

უცებ მოძუნძულდა მგელიც:

— გაჩუმდით, რომ არაფერი გაგეგებათ, — ყველაზე ძლიერი ადამიანია. ხოხობსაც იჭერს, ყინულსაც ადნობს, ცეცხლსაც აქრობს, ქარსა და წვიმას არ ეპუება, მიწას ამუშავებს, ბალახს თიბავს, ტყეს ჩეხავს, თუ უნდა, ცხვარსაც დაკლავს და შეჭამს, იმასაც აღარ ვამბობ, რომ შეუძლია მოვიდეს და მეც ბოლო მომიღოს.

ყველა დაეთანხმა, რომ ადამიანი ყველაზე ძლიერია ქვეყნად.

თარგმნა **მამიკონ თაქორიანმა.**

# ტყეში

ერთ გაზაფხულის დილას, როცა ყოველი სულდგმული შრომის ფერხულში ჩასაბმელად ემზადებოდა, კაცმა აიტეხა: „ტყეში უნდა წავიდე, ცოტაოდენ შეშას ჩამოვზიდავო!“

— მთელი ზამთარი მე და ჩემ შვილებს ცეცხლის სითბო არ გვიგრძვნია, ალბათ ნამუსმა შეაწუხა, — თქვა გახარებულმა ცოლმა. ქმარს კარგი საგზალი გაუმზადა, ხელადით ღვინოც ჩაუდგა და ტყისკენ გაისტუმრა.

საამო სანახავი იყო ახლად შეფოთლილი ტყე. კაცი ერთ ახოვან ხესთან შეჩერდა. მას წვერამდე აწვდილი ახლადდაკვირტული ვაზი შემოპხვეოდა წელზე... დიდხანს უცქირა კაცმა ხეს და ბოლოს მიაძახა:

— ბარაქალა შენს ვაჟკაცობას, ეგ სუსტი არსება ძმასავით რომ ჩაგიკრავს მკერდში. „ღვინო რად გიყვარსო“, მეუბნებიან. მაშ შენი სადღეგრძელო კაცმა არ დალიოს?!— თქვა და იქვე მოიკალათა, ხელადა გვერდით მოიდგა, მოხარშული დედალიც შუაზე გადახლიჩა, იმ ხის ძირის სადღეგრძელო შესვა პირველად. მერე ხეს შემოხვეული ვაზიც ადღეგრძელა. ნახევარიც არა ჰქონდა დალეული, რომ შეჭიკჭიკდა. მალე ხელადაგაწვდილმა იმ ხეს მიმართა:

— ჩემსავით კეთილი და გულჩვილი რომ ჩანხარ, მოდი ერთი სადღეგრძელო შენ დამილიე! — პასუხი რომ ვერ მიიღო, იწყინა...

— მაშ მე კაცად არა მთვლი? შენ იცი, აქ რისთვისა ვარ წამოსული? შენს მოსაჭრელად! — შესძახა მან და ცულმომარჯვებული ხეს დაეძგერა. პირველ შემოკვრისთანავე ცულს ტარი გასძვრა. ახლა ხელებით დაეჭიდა მას. დიდხანს ებღლარძუნა ფესვგადგმულ ბუმბერაზს. ტანზე სამოსი შემოეხა. ცხვირიდან სისხლი წასკდა, მერე ისევ ხელადას დასწვდა. შიგ რაც დარჩენოდა ერთი მოყუდებით გამოცალა და ცარიელი ხელადა იმ ხეს მიანარცხა.

— აჰა, ეგეც შენ, შუბლი ხომ გაგიტეხე! რაო, შენც სისხლი ჩამოგდის?! ვაი, ჩემს თავს! — შეღრიალა კაცმა და თავში ხელი წაიშინა... ხეს მივარდა, მოეხვია და ახლა კოცნა დაუწყო. ცრემლმორეული შერიგებას შესთხოვდა და როცა იმ ხის ლოშნით ტუჩებიც დაიხეთქა, მერე მის გარშემო ერთი ლაზათიანი დავლურიც დაუარა. ტლინკაობიიაც რომ გული იჯერა, ქანცგამოლეული იქვე მიეგდო.

თურმე ნუ იტყვით, იმ ხის განაპირა ტოტზე ერთი მაიმუნი მოკალათებულიყო, იჯდა თავისთვის გაყუჩებული და ზევიდან დასცქეროდა კაცის უცნაურ საქციელს. გუნებაში კი მარტო ერთ რამეს ფიქრობდა: „ნეტავ მაცოდინა, იმ ხელადაში ისეთი რა სითხე იდგა, რომ ამ კაცს ჭკუა დააკარგვინა და ჩემზე უარესად გაამაიმუნაო!“ ბოლოს ძირს დაეშვა და ხეზე შელეწილი ხელადის ნამსხვრევებს დაყნოსა.

— რას ყნოსავ?.. — გადმოსძახა ვაზმა, — მაგ ხელადაში ღვინო იდგა, ჩემი მტევნების წვენი...

— შენი მტევნების წვენი?! აი, თურმე რა ყოფილა! შენ კი დღე და ღამ მეტრაბახებოდი: „ჩემი მტევნები რომ არ იწურებოდეს, თქვენი წინაპრებისაგან წარმოშობილი ადამიანი ერთ დღესაც ვერ იცოცხლებდაო!“ ჩვენს წინაპრებს მთელი საუკუნეები დასჭირდათ შრომითა და ოფლით ქვეყანაზე ადამიანი წარმოეშვათ, შენ კი მას შენი ღვინით ერთ წამში კვლავ ამაიმუნებ და ისევ ჩვენ გვიბრუნებ?!...

დარცხვენილმა ვაზმა, ლერწამა ტანი ოდნავ შეარხია და მაიმუნს გადმოსძახა:

— რა ვქნა, ჩემო კარგო! მე ადამიანს დღეგრძელობის წვენი მივეცი საჭმელად... უწინ ღვინის წვეთებით გულწასულს მოასულიერებდნენ ხოლმე, ახლა კი ზოგიერთი მათგანი მას ისე ეწაფება, რომ იმ ღვინოს მარტო ჭკუა კი არა, ლამის თავისი გულ-ღვიძლიც თან გაატანოსო!

**შალვა გოცირიძე,**
თელავი.

## ეკა

ეკას კბილი ატკივდა,
ატირდა და ატირდა.
ეფერება პატარას
ათი ძმა და ათი და.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი მასწავლებელი

ჩვენი მასწავლებელი
სულ შენა გგავს, დედა.
შენ გიყურებ, მგონია,
როცა იმას ვხედავ.

რა კარგია! შენსავით
მეფერება ტკბილად,
ამიტომაც ვიჩქარი
მისკენ ყოველ დილას.

## მარინე — თოჯინას

მე ვარ დედა, შენ ხარ შვილი,
დამიჯერო უნდა დედას.
შენთვის, ჩემო საყვარელო,
როგორ ვზრუნავ, ვერა ხედავ?

დღე და ღამე შენზე ვფიქრობ,
როგორ მინდა, კარგი იყო,
შენ კი ცუდად ჭამ და გძინავს
რატომ, ჩემო პაწაწინავ?

ჩუმად ხარ და ხმას არ იღებ,
აფახულებ ლამაზ თვალებს.
თავი თუ არ გეცოდება,
დედა მაინც შეიბრალე!

**მიხეილ ჩაჩუა**

## შენზე ზრუნავენ

**დედა**

თუ აგტკივდა თავი,
დედის სიტყვა არჩენს,
მისი გამოჩენა
მზე და მთვარეს აჩენს.

**მამა**

მამა ოდნავ მკაცრი,
(გული კი აქვს თბილი),
საქმიანი კაცი,
შაქარივით ტკბილი.

**ბებია**

მუდამ ზრუნავს შენზე,
შენთვის მუდამ დრო აქვს,
შენახული სხვენზე,
ჩურჩხელები მოაქვს.

**ბაბუა**

შენთვის გამოჭედავს
სათამაშო ამწეს,
თუ კი ველარ გხედავს,
გულზე დარდი აწევს.

**დაია**

უყვარს შენთან თამაში,
ხან კი გაგებუტება,
სათამაშო ფისუნას
გულში ჩაეხუტება.

**ძამია**

ხუთი წლისა იყო,
შენ რომ დაიბადე,
რა რიგ მოგიქსოვა,
სათამაშო ბადე!

**ვასილ სიმონია**
აბაშის რაიონი.
სოფელი კეთილარი.

# თბილისური ექსპორტი

დიდ სამამულო ომამდე ჩვენი რესპუბლიკის ძირითადი საექსპორტო საქონელი იყო: მანქანები, ბარიტი, დიატომიტი, ნოხები, თამბაქო, ხილეული, წამლების ნედლეული და სხვ. ომის შემდგომ წლებში საქართველოში აშენდა მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი მრავალი სამრეწველო საწარმო. ბოლო ათი წლის მანძილზე კიდევ უფრო გაიზარდა რესპუბლიკის საერთო ეკონომიკური და ინდუსტრიული პოტენციალი.

დღეისათვის ჩვენი რესპუბლიკის საექსპორტო საქონელში შედის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის 360-მდე სახეობა, რომლებიც მსოფლიოს 80 ქვეყანაში იგზავნება. აღსანიშნავია ისიც, რომ საბჭოთა კავშირის ექსპორტში ჩვენი რესპუბლიკის ხვედრითი წონა თითქმის 4 პროცენტს შეადგენს.

საექსპორტო პროდუქციის გამოშვებაში საქართველოში წამყვანი ადგილი უკავია თბილისს, სადაც მზადდება 180 სახეობის პროდუქცია. ეს პროდუქცია საზღვარგარეთის 50 ქვეყანაში იგზავნება.

საგარეო ბაზარზე დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის“ მეთაური საწარმოს — კიროვის სახელობის ქარხნის ლითონსაჭრელი და მილდასამუშავებელი ჩარხები. 25 ქვეყანა — ასეთია ამ საწარმოს ექსპორტის მისამართი. რესპუბლიკის ელექტროტექნიკური მრეწველობის უმსხვილესი საწარმო — თბილისის ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხანა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებისათვის ამზადებს ამწე ელექტროშტაბელერებს. ეს მანქანები გათვალისწინებულია 500 კილოგრამამდე ტვირთის ტრანსპორტირებისათვის, ისინი ფართოდ გამოიყენება სასაწყობო მეურნეობებსა და ნავსადგურებში. ელმავალმშენებელი ქარხნის პროდუქციას დიდი წარმატება ხვდა ლაიპციგის, ბრნოს, მაინის, ფრანკფურტის საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებზე.

ჩვენს დროში ელექტროშემდუღებელი აგრეგატების გარეშე წარმოუდგენელია ნებისმიერი სამშენებლო ობიექტი. ამ პროდუქციას ამჟამად უშვებს თბილისის ე. პატონის სახელობის ელექტროშესადუღი მოწყობილობის ქარხანა. საწარმოში თხუთმეტნაირი მოწყობილობა მზადდება. ქარხნის პროდუქცია მსოფლიოს 40 ქვეყანაში იგზავნება, მათ შორის: ჩეხოსლოვაკიაში, გფრ-ში, კუბაში, იაპონიაში, გდრ-ში, ინგლისში, ბულგარეთში, ირანში, უნგრეთში...

დედაქალაქის ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხანა უშვებს 30 დასახელების ხელსაწყოს — გალვანომეტრებს, ალბედომეტრებს, მზის რადიაციის გასაზომ ხელსაწყოებსა და სხვ. ეს უნიკალური ხელსაწყოები მსოფლიოს მრავალ ქვეყანამ შეიძინა. თბილისის კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის ქარხანა ერთადერთია საბჭოთა კავშირში, რომელიც ამზადებს გამწმენდ დოლურებსა და ინერციულ გამოსაბერტყ ცხაურებს. ქარხნის პროდუქცია საექსპორტოდ გადის მსოფლიოს 20-ზე მეტ ქვეყანაში. თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ ქარხანა „ელექტროგამშვების“ საექსპორტო უბანი უშვებს სამონტაჟო ელექტროგამშვებებს და სასიგნალო არმატურას. ამ საწარმოს ნაწარმს დღეს პლანეტის 30 ქვეყანა იცნობს. თბილისის სახეხი ჩარხების ქარხანა ამზადებს განსაკუთრებით მაღალი სიზუსტის ჩარხებს, ბურღსალეს ჩარხებს, უნივერსალურ მრგვალსახეხ ჩარხებს და სხვა პროდუქციას, რომლებიც 10-მა სახელმწიფომ შეისყიდა. საწარმოო გაერთიანება „საქელექტრომანქანის“ მეთაური ქარხნის — „მიკროძრავას“ კოლექტივმა ჩვენი ქვეყნის ელექტროტექნიკურ მრეწველობაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიმკვიდრა. საყოფაცხოვრებო და სამრეწველო დანიშნულების თბილისური მიკროძრავები ცნობილია, როგორც საიმედო, გამძლე და ექსპლოატაციის დროს მოსახერხებელი ნაწარმი. დღეისათვის ქარხანა 84 დასახელების ნაწარმს აწვდის მომხმარებელს. ამ საწარმოს მცირე სიმძლავრის ელექტროძრავები და სხვა პროდუქცია შეიძინეს ბულგარეთმა, უნგრეთმა, იტალიამ, ნორვეგიამ, ფინეთმა... საგარეო ბაზარზე ასეთივე დიდ მოწონებას იმსახურებს გაერთიანება „საქღვინომანქანის“ მეთაური საწარმოს — სერგო ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებლობის ქარხნის პროდუქცია: ნზერები ყურძნისა და ხილის გადამუშავების ნაკადური ხაზებისათვის და ღვინის საწრეტი დანადგარები.

მეოთხედი საუკუნე შეუსრულდა თბილისის საიარაღო ქარხანას, რომელიც ამზადებს ინსტრუმენტებს ლითონსაჭრელი ჩარხებისათვის. ქარხანამ ბოლო ხანებში აითვისა სხვადასხვა დიამეტრის ხრახნსაჭრელები, საღარავები, საჭრისები პროგრამული მართვის ჩარხებისათვის. თბილისის საიარაღო ქარხანა სსრ კავშირის ჩარხმშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა, მისი პროდუქცია ჩვენი პლანეტის 36 ქვეყანაში გადის.

საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენი რესპუბლიკის მევენახეობის პროდუქციას. როგორც ცნობილია, ქართული ღვინო თავის გემოთი და სურნელებით ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. საერთაშორისო გამოფენებზე მათ მრავალი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. საქართველოს ღვინის მრეწველობის ერთ-ერთი უძველესი საწარმოს — თბილისის № 1 ქარხნის ნაწარმს მრავალ ქვეყანაში შევხვდებით, მათ შორის, მეღვინეობის აღიარებულ სახელმწიფოებში — საფრანგეთში, იტალიაში, გფრ-ში... ყველგან, შინ თუ გარეთ. სულ უფრო მეტი მოთხოვნილებით სარგებლობს სამარკო, ნახევრადტკბილი ღვინოები: „მუკუზანი“, „ქინძმარაული“, „ახაშენი“, „ხვანჭკარა“, „ყვარელი“ და სხვ. მრავალი წელია, გფრ-ს ცნობილი ფირმა „სიმექსი“ საბჭოთა საქართველოში იძენს ზემოდ დასახელებულ სამარკო ღვინოებს. ასეთივე დიდი მოთხოვნილებაა ქართულ კონიაკებზე. უცხოეთში გადის სამარკო ქართული კონიაკები: „საქართველო“, „თბილისი“, „ვარძია“... აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში, ქართულმა კონიაკებმა საერთაშორისო დეგუსტაციებსა და კონკურსებზე სამოცამდე ოქროსა და ვერცხლის მედალი დაიმსახურა. ჩვენს რესპუბლიკაზე მოდის საბჭოთა კავშირის ღვინისა და არყის ექსპორტის თითქმის ნახევარი.

ოდითგანვე ცნობილ ქართულ კერამიკას დღესაც მრავალი დამფასებელი ჰყავს არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მთელ მსოფლიოში. უცხოელებს ხიბლავთ ქართული მხატვრული და საოჯახო კერამიკის ნიმუშები: თასები, აზარფეშები, სურები, მაღალყელიანი დოქები, საბაღო და საპარკო კერამიკა. თანამედროვე ქართული კერამიკის საერთაშორისო აღიარებაში დიდი წვლილი მიუძღვის თბილისის საშენ მასალათა კომბინატის კოლექტივს. იაპონია, გფრ, იტალია, ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი, ესპანეთი — აი არასრული სია იმ ქვეყნებისა, სადაც მათი ნახელავი იგზავნება. თექები, ხალიჩები, ნაბდები, თუშური ქუდი, ქისები, წინდები, ხელჩანთები, ხურჯინები, კავკასიური ნაბდები, გობელენები და სხვა ხალხური ნიმუშები მზადდება ხალხური მხატვრული რეწვის საწარმოებში თბილისსა და რესპუბლიკის რაიონებში. მათზე დიდი მოთხოვნილებაა: საფრანგეთში, გფრ-ში, ინგლისში, იტალიაში, ფინეთსა თუ მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში. დასახელებული ორგანიზაციების გარდა, ჩვენს დედაქალაქში კიდევ მრავალი საწარმო მუშაობს საექსპორტო პროდუქციის გამოშვებაზე. ამ პროდუქციაზე მოთხოვნილება ყოველწლიურად იზრდება.

როგორც ცნობილია, მეთერთმეტე ხუთწლედში კიდევ უფრო გაიზრდება ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სიმძლავრე, ეს კი ხელს შეუწყობს საბჭოთა საქართველოს ექსპორტის გეოგრაფიის შემდგომ გაფართოებას.

**შოთა კიზირია,**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ინფორმაციის სექტორის განყოფილების ხელმძღვანელი.

# კულტურის ქრონიკა

### ტალინის თეატრი თბილისში

სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის საზეიმო დღეებში „მეგობრობის თეატრის“ მიწვევით თბილისს ესტუმრა ტალინის ვ. კინგისეპის სახელობის აკადემიური თეატრის დასი. ტალინელმა მსახიობებმა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე დადგეს ა. კიტცბერგის პიესა „ქარბუქი“. ეს დიდი მოქალაქეობრივი ჟღერადობის სპექტაკლი ასახავს 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობას ესტონეთში. ქართველმა მაყურებელმა გულთბილად მიიღო აგრეთვე ინგლისელი დრამატურგის ედვარდ ბონდის პიესა „ბინგოზე“, რომელშიც შექსპირის როლს ასრულებს სსრ კავშირის სახალხო არტისტი იური იარვეტი.

### „რომეო და ჯულიეტა“

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში 1982 წლის 29 დეკემბერს შედგა კომპოზიტორ სერგი პროკოფიევის ბალეტის „რომეო და ჯულიეტას“ პრემიერა.

მაყურებელმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვა სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი მიხეილ ლავროვსკი — სპექტაკლის დამდგმელი, ლიბრეტოს ავტორი და რომეოს პარტიის შემსრულებელი. ჯულიეტას პარტია შეასრულა ნათელა არობელიძემ.

### საგუნდო მუსიკის საღამო

დედაქალაქის საზოგადოებრიობის წინაშე პირველად წარდგა სოხუმის რკინიგზელთა სახლის თვითმოქმედი გუნდი ვეზდენ ოკუჯავას ხელმძღვანელობით.

არსებობის მცირე ხნის მანძილზე ნათლად გამოიკვეთა ამ თვითმოქმედი კოლექტივის მხატვრული ინტერესების მრავალმხრივობა.

# იუმორი



ელექტრონული ბიბლიოთეკა

## იცინიან შოპელები

სოფიის მხარის სოფლების (შოპების) მცხოვრებნი ოდითგანვე მღერიან ჟღერად სიმღერებს, ცეკვავენ შესანიშნავი მელოდიების რიტმზე, მოგვითხრობენ საინტერესო ლეგენდებსა და ზღაპრებს. სიმღერებში და ცეკვებში, წეს-ჩვეულებებში და მორთულობებში, შოპელების ფასდაუდებელ კულტურულ სიმდიდრეში აისახა ბულგარელი ხალხის თავისუფლებისმოყვარე სული, მისი მისწრაფება თავისუფალი, მშვიდობიანი შრომისაკენ.

შოპები — ქვეყნის დიდი ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ჯგუფია მოსახლეობისა. შოპელებს თავისი ფილოსოფია აქვთ, ისინი ურიცხვ თქმულებასა და ანდაზას ქმნიდნენ, რომლებშიც აისახა ხალხის სიბრძნე, ადათ-წესები; თხზავდნენ იუმორისტულ ზღაპრებს, ამდიდრებდნენ ხალხურ პოეზიას.

შოპელების საანდაზო კონსერვატიზმი იქნებ ვინმეს უცნაურად და მიულებლადაც მოეჩვენოს, მაგრამ სწორედ სიძველისადმი თავისი განსაკუთრებული სიყვარულის გამო სოფიის მხარის მცხოვრებლებმა ბულგარულ ეროვნულ კულტურას შემოუნახეს შოპური დიალექტი და ხალხური, ცოცხალი, წრფელი იუმორით გაჟღენთილი პოეტური ნაწარმოებების ურიცხვი სიმდიდრე.





შოპელების იუმორი სიბრძნის გამოხატულებაა, განსახიერება მახვილგონიერულობისა და შოპელის იშვიათი უნარია, დასცინოს თავის თავს, შეამჩნიოს მახინჯი და სასაცილო.

აი შოპელების რამდენიმე ხუმრობა:

### სწორი პასუხი

შოპელს ჰკითხეს, რატომ ცოცხლობო. მან მიუგო:

— იმიტომ, რომ ვნახო რა მოხდება!

მეორე შოპელს ჰკითხეს, ცოლს რატომ სცემო.

— არ უნდა მიხვდეს, რომ მე იგი მიყვარს! — მიუგო მან.

მესამე შოპელს სთხოვეს აზრი გამოეთქვა ამის გამო.

— არ ვიცი რატომ, მაგრამ ვფიქრობ, ალბათ იმიტომ...

### როდემდე შეიძლება

— მამა, — ეკითხება ბავშვი, — მართალია, როცა გავიზრდები ყველაფრის გაკეთება შემეძლება, რასაც მოვისურვებ?

— შეგეძლება... სანამ ჩვენი სოფლის ქალს შეირთავ.

### რაციონალიზატორი

ვენახს რომ ჩაუარა, ვუტე გაოცდა:

— პეშო, დამჯდარი რატომ თხრი მიწას?

— დაწოლილმა ვცადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა, — გულახდილად მიუგო პეშომ.

### როგორ ავიღოთ სიმაღლე

ასეთ კითხვით მიმართა ზემდეგმა ახალწვეულებს, რათა მათი საზრიანობა გაეგო. ჯერ ერთმა უპასუხა, მერე მეორემ, ჯერი შოპელ გერჩოზე დადგა.

მან მოკრძალებით დახარა თვალები, დარცხვენით გაიღიმა, ერთ ადგილზე ატოკდა, ბოლოს მიუგო:

— ავიღებთ, როგორც გოგონას, ამხანაგო ზემდეგო: თუ კარს არ გააღებს, ღობიდან გადავცვივდებით და ავიღებთ... ბოსელში.

### აზრი არა აქვს

პეპო სოფლის საუკეთესო მეთევზეა. წმიდა ნიკოლის დღეს შინ დიდი ჭანარი მოიტანა და ცოლს უთხრა:

— შეხედე, რა დიდი ჭანარი დავიჭირე. გარეცხე და კერძი მოამზადე. მე მალე შოვალ.

ქალმა იფიქრა, იფიქრა და გადაწყვიტა:

— ნეტავი გარეცხვა რად უნდა, მთელი თავისი სიცოცხლე სულ წყალში არ ბანაობს?

### უბედურება არაა

გიორე ძმისკენ გარბის და უყვირის:

— ვიტე, შენი სიდედრი ჭაში ჩავარდა!

— უბედურება არაა. იმ ჭის წყალს არა ვსვამ.



# თუ სიცოცხლე გიყვარს

## რატომ ეწევიან ჩვენი შვილები?

ვაჟიშვილი ეწევა! უფროსებს ასეთ აღმოჩენაზე ერთნაირი რეაქცია გვაქვს: ვცდილობთ, რაც შეიძლება ჩქარა ავუხსნათ ბავშვს, რა საშიშროება ელის. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს მცდელობას არ მოსდევს სასურველი შედეგი. ბავშვები იგებენ რა მავნე ზემოქმედების მოხდენა შეუძლია მათ ჯანმრთელობაზე თამბაქოს, მაგრამ განაგრძობენ წევას.

საინტერესო ექსპერიმენტი ჩატარდა მოსკოვის ერთ-ერთ სკოლაში. ბავშვებს სთხოვეს, დაეხატათ როგორ წარმოედგინათ წევის შედეგი. ქაღალდზე გაჩნდა მეტყველი სურათი-პლაკატები: გული ნიკოტინის შეტევის წინ, დამჭკნარი, მშვენიერი არსება სიგარეტით ხელში, თამბაქოს ბოლით დაუძლურებული სპორტსმენი... მაგრამ წევის მავნებლობის რეალურმა წარმოდგენებმა, ვერ შეუშალა ხელი ზოგიერთ მხატვარს, მუშაობის დასრულებისთანავე გაქცეულიყო მოსაწევად.

მწეველთა რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდება სწორედ მოზარდთა და ახალგაზრდობის ხარჯზე. მაგალითად, ავსტრალიაში გოგონების და ვაჟების 56 პროცენტი 16-18 წლის ასაკში ეწევა. საფრანგეთში მწეველი ახალგაზრდობა უფრო მეტია — 78 პროცენტი. თითქმის 80 პროცენტი მთელი მწევლებისა წევას იწყებს სასკოლო ასაკში და, რაც ზედმიწევნით ამაღელვებელია, იზრდება რიცხვი ბავშვებისა, რომლებიც უკვე 10 წლამდე ასაკში სინჯავენ თამბაქოს.

როგორ დავიცვათ ბავშვები ამ საშინელი, ჯანმრთელობისთვის უაღრესად მავნე თვისებისაგან?

ბავშვები წევას არც დამშვიდებისთვის იწყებენ და არც სტიმულისათვის (ასეთი მიზეზები თავის დასაცავად მოაქვთ, ჩვეულებრივ, სტაჟიან მწეველებს). ბავშვებს თავისი, ასაკის მიხედვით განსაზღვრული მიზეზები აქვთ.

უმცროს სასკოლო ასაკში (8-10 წელი) ეს პირველ რიგში ცნობისმოყვარეობაა, სურვილი — მიბაძონ უფროსებს. უფროსების მაგალითს ამგვარი ბავშვებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

საშუალო სასკოლო ასაკში (11-14 წელი) ჩნდება სურვილი, არ ჩამორჩნენ მოდას, გოგონებს მისწრაფება აქვთ გახდომისაკენ. მოზარდს იტაცებს მოწევის პროცესის გარეგნული „სილამაზე“, რომელიც ზრდის მის ღირსებას საკუთარ თვალში და, როგორც ეჩვენება, გარშემომყოფთა თვალშიც. განსაკუთრებით გადამდებია მეგობრების ლიდერის მაგალითი. თუ ეწევა ლიდერი — ეწევიან მთელი მისი მეგობრები.

მოზარდებთან საუბარი მოითხოვს განსაკუთრებულ, ინდივიდუალურ მიდგომას და არანაკლებ ტაქტს. მათი სიჯიუტისადმი მიდრეკილება ხშირად სრულიად დაუფარავ წინააღმდეგობას იწვევს უფროსების მზრუნველობისა და დარიგებებისადმი.

უფროსი სასკოლო ასაკი (15-18 წელი) — პიროვნების ჩამოყალიბების დამამთავრებელი ეტაპია. ვაჟი ან გოგონა ამთავრებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას, შედის საშუალო სპეციალურ ან უმაღლეს სასწავლებელში, ებმება საზოგადოებრივ საქმიანობაში. ამ ასაკში წევა უკვე უფროსებისა და მეგობრების მიბაძვა კი არ არის, არამედ პირადი უსიამოვნებისა და განცდებისაგან თავისებური თავდაცვა.

მაგრამ მიუხედავად მოწევის დაწყების მიზეზისა და ბავშვის ასაკისა, ოჯახის უფროს წევრთა მწეველობა ყველაზე სერიოზული მიზეზია ამ მავნე თვისებების განვითარებისათვის. მწეველი მოსწავლეების ნახევარი იზრდება სწორედ ისეთ ოჯახებში, სადაც მშობლებს არ შეუძლიათ, დამაჯერებლად დაუსაბუთონ შვილებს წევის მავნებლობა. ისინი იძულებულნი ხდებიან საკუთარი შვილების მოქმედებას გულგრილად შეხედონ, ან უბრალოდ აუკრძალონ წევა დასჯის მუქარით. ამ უკანასკნელი „მეთოდის“ ეფექტურობაზე ლაპარაკიც არ ღირს. კარგად არის ცნობილი, რა ტკბილია აკრძალული ხილი: ბავშვები მალვით იწყებენ წევას.

მწეველი მშობლები შვილებს არა მარტო ცუდ მაგალითს აძლევენ, ასეთ ოჯახებში ბავშვები ხდებიან პასიური მწეველები, რომელსაც არანაკლები ზიანის მოტანა შეუძლია მათი ჯანმრთელობისთვის. სიცოცხლის პირველსავე წელს მათ ორჯერ უფრო ხშირად ემართებათ სასუნთქი ორგანოების დაავადება. თამბაქოს ბოლის შემადგენლობაში შემავალი მავნე ნივთიერება აღიზიანებს თვალის ლორწოვან გარსს, პირის ღრუს, ცხვირს, ხორხს. ბავშვებს უუარესდებათ განწყობილება, აწუხებთ თავის ტკივილი, უძილობა. დროთა განმავლობაში კი ეს ბავშვები თვითონ ხდებიან თავგამოდებული მწეველები.

მაშ რატომ ეწევიან ჩვენი შვილები? იმიტომ, რომ ვეწევით ჩვენ — მშობლები, პედაგოგები, მოძღვრები.

**ე. პოპოვა,**
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.
ჟურნალი „ზდოროვიე“.

## ათი მცნება გახდომის მსურველთათვის

თქვენი აგებულება მარტო იმაზე კი არ არის დამოკიდებული, რამდენს ჭამთ, არამედ იმაზეც თუ როგორ ჭამთ, — მიიჩნევს ამერიკელი ექიმი-დიეტოლოგი ჯუდი ჯილი. მან დაადგინა, რომ გამხდარი ხალხი გულმოდგინედ ღეჭავს საკვებს, ჭამს ნელა, თეფშზე ტოვებს ნაწილს. პირიქით, გასუქებული ადამიანები ჭამენ ჩქარა, ცუდად ღეჭავენ, თეფშზე მათ არაფერი რჩებათ.

ზედმეტი წონა თავიდან რომ ავიცილოთ, ექიმი ჯილი გვირჩევს, დავიცვათ საკვების მიღების შემდეგი ათი წესი:

1. რასაც თეფშზე დაგიდებენ, ბოლომდე ნუ შეჭამთ, თუმცა ბავშვობიდანვე გასწავლიდნენ, რომ არაფერი დატოვოთო. ხედავთ, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამას.

2. ნუ გაერთობით ჭამის დროს თუ, მაგალითად, კითხულობთ მაგიდასთან, ვეღარ აქცევთ ყურადღებას, როგორ და რას ჭამთ. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჭამის დროს არ ილაპარაკოთ, მაგრამ ამასთანავე ნუ დაივიწყებთ, როგორ შეექცევით.

3. პირში ზომიერ ნაჭერს რომ ჩაიდებთ, დადეთ კოვზი ან ჩანგალი და ეცადეთ, იგრძნოთ საჭმლის არომატი და გემო.

4. გულმოდგინედ დაღეჭეთ და სანამ არ გადაყლაპავთ, დანა-ჩანგალს ნუ მიეკარებით.

5. აუცილებლად გააკეთეთ მცირე პაუზა ჩაყლაპვის შემდეგ.

6. ეცადეთ, მარტო არ ჭამოთ. შესაძლოა, ვინმეს თანდასწრებამ გაგახსენოთ, რომ უნდა მოთოკოთ ზედმეტი მადა.

7. მეუღლეებმა ანგარიში უნდა გაუწიონ ერთმანეთს. თუ ერთი დიეტას იცავს, მეორემ ამის გამო უკმაყოფილება არ უნდა გამოთქვას.

8. საჭმელი მოზომილად მოამზადეთ .თუ ბევრს გააკეთებთ, ყოველთვის მოინახება მისი ჭამის მსურველი. თანაც იგი აღმოჩნდება სწორედ ის, ვისთვისაც ყველაზე მეტად მავნებელია ჭამა.

9. თუ ბინაში გაქვთ სასადილო ოთახი, იქ გაშალეთ სუფრა, საჭმელი კი სამზარეულოში გაანაწილეთ. დამატება თუ დაგჭირდათ, ისევ სამზარეულოში მოგიწევთ წასვლა. შესაძლოა, ამიტომ უარი თქვათ თქვენს სურვილზე.

10. ეცადეთ, გაახანგრძლიოთ ჭამის პროცესი. გახსოვდეთ, რომ შიმშილის გრძნობის დაკმაყოფილების სიგნალი ტვინამდე მიდის მხოლოდ 20 წუთის შემდეგ, რაც ჭამა დაიწყეთ.

(ახალი ამბების საინფორმაციო სააგენტო).

# ვარძიის ვაზი

მესხეთს ვიყავი, ვარძიის ახლოს. ერთ დღეს მე და ახალგაზრდა მესხი მტკვრის მარჯვენა მხარეს ალმა ავყევით. გავიარეთ სოფლები: ბერთეოსი, ნუნდა, ტოლოში, ნაქალაქევი, თმოგვი. ვარძიის კლდე-ქალაქს რომ გავუპირისპირდით, გზისპირას, ფერდობზე, ჩამოვსხედით. უცებ ვაზი შევნიშნე — ჩია, ნვრილტოტიანი. აქაიქ ფოთლები ჩაყვითლებოდა, ძირზე ბალახი და ნარ-ეკალი შემოხვეოდა. გული სიხარულით ამევსო, მონიწებით გადავუსვი ხელი და თვალწინ წარმომიდგა ქართული ვენახი, ხარისთვალას, ბუდეშურის თვალუწვდენელი მწკრივები, ჩაქარვებული მტევნები, მესხური ბარაქიანი რთვლობის ეშხი, გოდორკალათების ტრიალი, ქალ-ვაჟთა სიცილ-კისკისი!

მერე ისევ ვაზს დავხედე და გაოცებული დავრჩი — ტიროდა, იცრემლებოდა ობლად დარჩენილი მცენარე!

ბალახი მოვაცილეთ, მიწა ავუოშეთ, ამ დროს მესხმა ბიჭმა ვაზის ძირთან რაღაც დანახშირებულ ხეს წამოსდო ხელი,

— ამ დანახშირებულ ხეს აქ რა უნდა?!

მიწა მოვთხარე, ამოვაძრე დამწვარი ხე, ხელში რამდენჯერმე შევატრიალე, თანამგზავრს გავუწოდე და სინანულით დავაყოლე: „ეს ამ ვაზის საყრდენი ჭიგო ყოფილა. ხედავ, მტრის ხანძარს ვენახი გადაუწვავს!.."

— იმ ხანძარს ეს ვაზი როგორღა გადაურჩა?!. — იკითხა ბიჭმა.

— ვაზის ფესვი მესხეთის მადლიანმა მიწამ გადაარჩინა, — ვთქვი და კვლავ ვაზს მივუბრუნდი, მიწა შემოვაყარე ძირზე, იქვე მახლობელი წყაროდან მოტანილი წყალი ვასხურე. მცირე ხანში ვაზმა თითქოს ფერი იცვალა, სიმწვანე მოემატა, ცრემლების დენა შეუწყდა...

შვიდი წლის შემდეგ ისევ ვესტუმრე ვარძიას. შემოდგომის ფოთოლცვენას სხვადასხვა ფერით მოერთო მტკვრის ხეობა. ის ვაზი გამახსენდა, სანახავად წავედი და გაოცებული დავრჩი, ისე გამოცვლილიყო ის ადგილი — თვალუწვდენელი ვენახი გაეშენებინათ.

მაინც დავიწყე ვაზის ძებნა. ადგილი კარგად მახსოვდა. მის პირდაპირ, მოშორებით, თეთრი კლდე იდგა, კალთებმორღვეული, მის შუა ნაჩხერებიან ღარზე ანკარა წყარო გადმოჩუხჩუხებდა. ახლო-მახლო ყველა მსხმოიარე ვაზი გადავშინჯე, ვერაფერი გავიგე... ვიფიქრე, ალბათ ის ჩია ვაზი ამოაგდეს და სხვები დარგეს-მეთქი. გული მეტკინა, მაგრამ მსხმოიარე ვენახებსა და ახლად დასახლებულ სოფლებს რომ გავხედე, დარდი გადავიგდე და ის იყო ისევ იმ თეთრი კლდის წყაროსკენ გავემართე, რომ ვაზის რიგებიდან მოულოდნელად ვიღაც მომესალმა.

— აქ რას დაეძებთ, რატომ ჩვენს რთველში არ ამოხვედით.

შევხედე, მომეწონა მისი ვაჟკაცური ტანადობა, ველარ მოვითმინე და მაშინათვე ვკითხე, სადაური ხარ-მეთქი, ვაჟკაცო.

— მესხი ვარ, მესხი, ძია კაცო, ამ მიწა-მამულის უძველეს წინაპართა მემკვიდრე!.. — მიპასუხა და თან ვენახს გადახედა. მივხვდი, იმ დიდებული მამულის პატრონი რომ იყო... როცა ჩემი მოსვლის მიზეზი გაიგო, ჯერ გაოცებულმა შემომხედა, მერე ღიმილით მითხრა:

ჩვენ ის ობოლი ვაზი საგანგებოდ გამოვზარდეთ. წამომყევით, ახლავე გაჩვენებთ.

მერე ერთ ღახუნძლულ, თამამად გაზრდილ ვაზთან მიმიყვანა.

— აი, ეს გახლავთ თქვენი ვაზი! განსაკუთრებული პირობები რომ შევუქმენით და ჩამოიზარდა, ახარბიელო თვისებები გამოამჟღავნა. ამის ჯილაგის ვაზი აქეთ მხარეში არსად აღმოჩნდა: ტანით ოდნავ მაღალია სხვა ჯიშებთან შედარებით, ამტანი სამამულე რქებიო. აგერ, ოთხი მსხმოიარე ტოტი შევარჩინეთ და ყველა ვებერთელა მტევნებითაა დატვირთული, განსხვავებული ფოთოლი აქვს, არაჩვეულებრივი ნაყოფი — ოდნავ გრძელი, ჩამსხვილებული, ტკბილი...

გაოცებული ვუვლიდი ირგვლივ სიმძიმისაგან წელგადაზნექილ ვაზს და ხმას ველარ ვიღებდი, ვენახის პატრონმა ვაზს ჩაქარვებული მარცვლებით სავსე გუდალა მტევანიააჭრა. მას თან გამოჰყვა პატარა, ფოთლებიანი ტოტი, მე დიდი მადლობა გადავუხადე, სათუთად გავახვიე ქაღალდში და საველე ჩანთაში ჩავდე. მან რთველში კიდევ მიმიპატიჟა, მაგრამ დრო აღარ მქონდა, დავემშვიდობე და კმაყოფილი გავუდექი გზას.

**როსტომ ელანიძე**

# ჟოკეი



მაისის დილა იყო. ჩელუსკინელების ქუჩაზე მოულოდნელად ხმაური ატყდა. ხალხი გაოცებული შესცქეროდა მხედარს, რომელიც შავ ცხენს ჰაგელვებდა. დედაქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე გამოჭრილი ბედაური არაფერს ერიდებოდა: ავტობუსებსა და ტროლეიბუსებს შუა მიქროდა, ტროტუარზე ხტებოდა, ყალყზე დგებოდა და დამუხრუჭებულ მსუბუქ მანქანებს თითქოს ზედ ევლებოდა...

— რა არის ეს?... სპორტი? — იკითხა ერთმა მანდილოსანმა და გაოცებით აიჩეჩა მხრები.

იქვე მდგომმა ჭაღარა კაცმა, არც შეუხედავს, ისე უპასუხა მანდილოსანს:

— რა არის და იშვიათი შემთხვევა. ხომ ხედავთ, ცხენმა გაიტაცა მხედარი.

სწორედ რომ ასე იყო.

იმ სისხამ დილით, თბილისის ვაგზალში შორეული ისიკყულის ცხენსაშენიდან წმინდასისხლიანი ჯიშის სპორტული ცხენები ჩამოიყვანეს. იპოდრომიდან რამდენიმე კაცი წავიდა ცხენების მისაღებად. ერთ-ერთი მათგანი ახალგაზრდა ჟოკეი დავით თაბაგარი იყო.

დავითმა გაბედა წინამძღოლობა ეკისრა და ყველაზე დაუმორჩილებელ შავ ცხენ „გოლფს" მოხტომოდა ზურგზე.

თავნება და ამაყმა ცხენმა იუკადრისა უცხო მხედარი. აენთო, გაშმაგდა და ჩელუსკინელების ქუჩისკენ გამოქანდა.

ალღო, ცხენის დამორჩილების ოსტატობა, მოთმინება, გაუტეხელი მამაცობა, — აი ის, რითაც შეძლო დავით თაბაგარმა მოეტეხა და დაეოკებინა გავეშებული ცხენი.

იყო კიდევ ერთი — სიყვარული, ცხენისადმი დიდი სიყვარული, რომელიც შეიძლება, „გოლფმაც" კარგად იგრძნო. იგრძნო და შუა ქუჩაში ამიტომაც დაემორჩილა.

...ცხრა წლისა იყო დათო, როცა პირველად შეჯდა ცხენზე, მას შემდეგ უფრო და უფრო გაუღვივდა ცხენისადმი პატივისცემა და სიყვარული.

როცა რვა კლასი დაამთავრა, ჩვენმა სახელოვანმა პოეტმა მარიკა ბარათაშვილმა თავისი ნათესავი — დავით თაბაგარი თბილისის იპოდრომზე მიიყვანა. ჭაბუკი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გრიგოლ ქიქავას ჯგუფში ჩარიცხეს.

დათომ თავიდანვე მოისურვა ჟოკეი გამხდარიყო. მარტო სურვილი რას ეყოფოდა! ისწავლა, ივარჯიშა, სხვათა გამოცდილება გაიზიარა, გამოიწრთო და თანდათან სრულყო ოსტატობა.

საუკეთესო ქართველ ჟოკეის დავით თაბაგარს ბევრჯერ დაუცავს ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდის ღირსება. პირველი წარმატება 1974 წელს ალმა-ათაში მოიპოვა. ამ საკავშირო შეჯიბრების ერთადერთმა ქართველმა მონაწილემ დაისაკუთრა საპატიო პრიზი.

არც მომდევნო წლებში შეურცხვენია თავი საკავშირო შეჯიბრებებში: ჯერ „გახსნის პრიზის" მფლობელი გახდა, შემდეგ „ზაფხულის დიდი პრიზიც" დაისაკუთრა. ქართველ მხედარს მიღებული აქვს „რუსეთის ფედერაციის პრიზი", „არაგვის პრიზი", „მარშალ ბუდიონის პრიზი", ოქროს „დიდი პრიზი"...

თბილისის იპოდრომზე 30 ტრადიციული პრიზი თამაშდება. 10 წლის მანძილზე დავით თაბაგარს საქართველოს თითქმის ყველა ტრადიციული პრიზი აქვს მოპოვებული.

დავითი ამჟამად აღმზრდელობით მუშაობასაც ეწევა. წვრთნის და ავარჯიშებს ახალგაზრდა მხედარჟოკეებს. მისი მეუღლე მარინეც ცხენოსნობით არის გატაცებული. იგი მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში სწავლობს და გადაწყვეტილი აქვს, მომავალში ცხენსაშენებსა და ცხენის პრობლემებზე გააგრძელოს სამეცნიერო მუშაობა.

ქართველ კაცს მამა-პაპიდან მოსდგამს ცხენისა და ცხენოსნობის სიყვარული. ვინ მოთვლის, რამდენჯერ გვასახელეს საქვეყნოდ ისეთმა ქართველმა მხედრებმა, როგორიც იყვნენ ხაინდრავა, ქიქავა, კოჩიაშვილი, სურმავა და სხვები.

ტრადიციას გაგრძელება სჭირდება. უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში დიდი ყურადღება დაეთმო საცხენოსნო სპორტს. სასიხარულოა, რომ თბილისის იპოდრომებზეც ამჟამად ბევრი პერსპექტიული ახალგაზრდა სპორტსმენია.

— დარწმუნებული ვარ, — გვითხრა 25 წლის სახელოვანმა ჟოკეიმ დავით თაბაგარმა, — რესპუბლიკის ყოველმხრივი წარმატება ჩვენ დარგშიც იჩენს თავს. საქართველო კვლავაც იქნება საცხენოსნო სპორტის საიმედო კერა.

**გაბრიელ ბარჯაძე,**
სპორტის ოსტატი

ეროვნული ბიბლიოთეკა


თარხან არჩვაძე


მამუკა ასლანიკაშვილი


მამია ახობაძე


სერგო დურმიშიძე


სერგო ედიშერაშვილი


ქეთო ლანდია


რევაზ მიშველაძე


ანატოლი რუხაძე


ირინე ტალიაშვილი


როდამ ჩაჩანიძე


ვანო ჩხიკვაძე


სპარტაკ ცინცაძე


ვიოლეტა ცისკარიძე


ანტონ წულუკიძე


თეიმურაზ ჯანგულაშვილი

# ჟურნალ „დროშის“ 1982 წლის ლაურეატები

„დროშის“ სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებით ჟურნალ „დროშის“ პრემიით აღინიშნა 1982 წლის მანძილზე გამოქვეყნებული შემდეგი ნაწარმოებები: **თარხან არჩვაძის** ფოტოები: „ახალგაზრდა მხატვარი ქეთევან ოქროპირიძე“ და „გარეჯი“ (№ 4, № 7); პარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივნის **მამუკა ასლანიკაშვილის** სტატია „ოჯახი სახელმწიფოს საფუძველი“ (№ 6); მხატვარ **მამია ახობაძის** ნახატი „მაისი თბილისში“ (№ 5): აკადემიკოს **სერგო დურმიშიძის** მხატვრული ნარკვევი „ალვის ხეები“ (№ 3); **სერგო ედიშერაშვილის** ფოტოები „თბილისი“, „საქართველოს სამხედრო გზაზე“, „გალინა აფციაური“ (№ 9, № 11, № 12); საქართველოს სახალხო არტისტის **ქეთო ლანდიას** მოგონება **„ეროსი მანჯგალაძე“** (№ 9); **რევაზ მიშველაძის** მოთხრობა „კვირიკე“ (№ 5); **ანატოლი რუხაძის** ფოტომოთხრობები: „თბილისის სამუსიკო სკოლა-ინტერნატში“. „შემოდგომა“, „თბილისის მეტრო“ (№ 10); **ირინე ტალიაშვილის** მოთხრობები: „ადრეული გაზაფხული“, „პაპაჩემი“, „სიმფონიური შემოდგომა“ (№ 1, № 3, № 9); **როდამ ჩაჩანიძის** მოთხრობა „მამლუქის სიმღერა“ (№ “); **ვანო ჩხიკვაძის** მოთხრობა „სიყვარული“ (№ 2); საქართველოს დამსახურებული მხატვრის **სპარტაკ ცინცაძის** ნახატი „დილა ჩაის პლანტაციაში“ (№ 12) და „დროშის“ ბიბლიოთეკის გაფორმება; პროფესორ **ვიოლეტა ცისკარიძის** წერილი „ნიჭი ნათელი“ (№ 11); მუსიკათმცოდნე **ანტონ წულუკიძის წერილი** „ელენე ობრაზცოვა“ (№ 5); **თეიმურაზ ჯანგულაშვილის** ლექსები (№ 7) და წერილი „ოჯახი ასი ერისა“ (№ 5).

# კროსვორდი





ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვიტალი დარასელიას სახელობის პრიზი

გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ვიტალი დარასელიას ხსოვნის პატივსაცემად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ფეხბურთის სამმართველოსა და რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით დაწესდა **„ვიტალი დარასელიას სახელობის პრიზი“**, რომელიც ყოველწლიურად გათამაშდება და გადაეცემა **ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო დებიუტანტს.**

**თარაზულად:** 5. სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირი; 6. საბჭოთა კავშირის გმირი; 7. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი წარმომადგენელი; 15. „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ წევრი; 16. გამოჩენილი სომეხი რევოლუციონერი; 17. საბჭოთა ქვეყნის გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე; 18. საბჭოთა კავშირის გმირი; 19. ლენინის მეგობარი და თანამებრძოლი; 24. მგზნებარე რევოლუციონერი; 25. მოკავშირე რესპუბლიკა; 30. ქალაქი, სადაც შედგა ბოლშევიკთა პარტიის სრულიად რუსეთის VII კონფერენცია; 31. ქართველი მუშა-რევოლუციონერი; 32. გამოჩენილი სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე; 34. საბჭოთა კავშირის გმირი; 41. ცნობილი რევოლუციონერი, ნაროდნიკი ქალი; 42. სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის პირველი თავმჯდომარე; 43. პროფესიონალი რევოლუციონერი; ისკრული ორგანიზაციის წევრი; 44. საბჭოთა კავშირის გმირი; 45. რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი; 50. ქალაქი, სადაც 1893 წელს გაიხსნა მეორე ინტერნაციონალის მესამე კონგრესი; 51. გამოჩენილი მხედართუფროსი, საბჭოთა კავშირის მარშალი; 52. საბჭოთა კავშირის გმირი.

**შვეულად:** 1. „მესამე დასის“ გაზეთი; 2. სამოქალაქო ომის გმირი; 3. ერთ-ერთი მოძმე რესპუბლიკის დედაქალაქი; 4. მიხა ცხაკაიას მიერ შექმნილი სომხური რევოლუციური გაზეთი; 8. თერგის ოლქში საბჭოთა ხელისუფლებისათვის გმირული ბრძოლის მონაწილე; 9. გენერალსიმუსი; 10. საქვეყნოდ ცნობილი კრეისერი; 11. მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი; 12. საბჭოთა კავშირის გმირი; 13. მარქსიზმის კლასიკოსი; 14. წითელი არმიის გამოჩენილი მხედართუფროსი; 20. სახელოვანი რევოლუციონერი, გაზეთ „პრავდის“ რედაქციის წევრი; 21. დიდ სამამულო ომში ერთ-ერთი პარტიზანული შენაერთის მეთაური; 22. დიდ სამამულო ომში პარტიზანული მოძრაობის გამოჩენილი მეთაური; 23. ქალაქი უკრაინაში, რომლის ფრონტის სარდლობა დაეკისრა ვასილ კიკვიძეს; 26. ცნობილი მხედართუფროსი, საბჭოთა კავშირის მარშალი; 27. საქართველოში ხალხოსანთა მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წევრი; 28. „ავრორას“ ზალპმა მსოფლიოს აუწყა, რომ დაიწყო ახალი ეპოქა, ანუ ახალი ხანა, ანუ ახალი... 29. 1907 წელს თბილისში გამოცემული ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი; 33. მიხა ცხაკაიას ლიტერატურული ფსევდონიმი. 35. ადგილი, სადაც 1917 წლის ივლისის დღეებში თავს აფარებდა ლენინი; 36. რევოლუციამდელი ლეგალური გაზეთი; 37. კომუნისტური პარტიის დამაარსებელი, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი; 38. გამოჩენილი აფხაზი რევოლუციონერი; 39. გაზეთი, რომელშიც აქტიურად თანამშრომლობდნენ რევოლუციონერები; 40. დიდი სამამულო ომის გამოჩენილი მხედართუფროსი; 46. ლენინის მიერ დაარსებული გაზეთი. 47. ქალაქი, სადაც შედგა რსდმპ VI სრულიად რუსეთის კონფერენცია; 48. გამოჩენილი სომეხი რევოლუციონერი; 49. ბაქოს არალეგალური სტამბის პირობითი სახელი.

შეადგინა ვაჟა მაგრაქველიძემ.

გარეკანის პირველ გვერდზე: პლაკატი „მრავალ ახალ წელს, მეგობრებო!“ (ავტორი — საქართველოს სახალხო მხატვარი თენგიზ სამსონაძე);

მეოთხე გვერდზე — „თოვლიანი მთა“ (ფოტო თარხან არჩვაძისა).

მონტაჟი მზია ლოგუაშვილისა

გადაეცა წარმოებას 4. I. 83 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 17. I. 83 წ., უე 04315, ქაღალდის ზომა 70×1081/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,93, ტირაჟი 49000, შეკვ. № 5, ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.

Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელ. — მთავარი რედაქტორის — 99-54-66, მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-82-69, პ/მგ. მდივნის — 99-01-39, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება




ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბაკურიანში

ფოტო სერგო ედიშერაშვილისა









ეროვნული
ბიბლიოთეკა



ინდექსი 76056

# დროშა